

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №66**

29 მარტი 2024 წ.
10:00 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

კომისიის წევრები- ლევან არველაძე, ლევან დავითაშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ანა გოგოლაძე, აკაკი ალადაშვილი, მიხეილ კაკაურიძე.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახური - გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტო- ირაკლი თავართქილაძე, მარიამ კვერნაძე.

შპს „თბილისერვის ჯგუფი“ - დავით ბოდოკია, დავით ჩანქსელიანი

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **№12-032408771-03 27/03/2024წ**
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, სასესხო შეთანხმების ხელმისაწვდომობის ვადის გახანგრძლივებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე. **№12-032405350-03 20/02/2024წ**
3. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლების I მიკრორაიონის კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010.01.036) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **№12-032405445-03 23/02/2024წ**
4. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **№12-032405445-03 23/02/2024წ**
5. „ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **№12-03240641-03 4/03/2024წ**
6. „ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. **№12-03240673-03 7/03/2024წ**
7. ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N134-ში არსებული 52.75 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.070.01.500) და 22.94 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.070.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **№12-032405323-03 20/02/2024წ**
8. ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის I შესახვევი N4-ში მდებარე 76.22 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.060.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **№12-032405323-03 20/02/2024წ**
9. ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115-ში არსებული 33.37 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031.01.515) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **№12-032407442-03 14/03/2024წ**

10. ქალაქ თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9-ში არსებული 76.20 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.032) და 76.20 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.042) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

№12-032407442-03 14/03/2024წ

11. ქალაქ თბილისში, ტაბახმელას დასახლება, კორპუსი N5-ში არსებული 88.83 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 81.02.07.369.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **№12-032407442-03 14/03/2024წ**; **№12-032407874-03 19/03/2024წ**

12. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. **№12-032408291-03 22/03/2024წ**

13. ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N11 და N88 ბინების (მშენებარე) (ს/კ: N01.12.12.001.414.01.01.011; N01.12.12.001.414.01.01.088) და ქ. თბილისში, ილია სუხიშვილის ქ. N45-ში მდებარე N50 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.19.39.029.046.01.02.050) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **№12-032408658-03 26/03/2024წ**

14. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-10 კვარტლის კორპუს N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.028.013.01.017) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **№12-032407868-03 19/03/2024წ**

15. „ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. **№12-032407868-03 19/03/2024წ**

16. ვარკეთილის მესამე მასივში მდებარე რიგი ავარიული კორპუსების ჩანაცვლების მიზნით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში, №01.19.20.025.110, №01.19.20.025.112, №01.19.20.025.114 და №01.19.20.025.072 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჯამურად 11 008 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთების ინტერესთა გამოსატყვამში გამარჯვებული პირის - შპს „ლიტ ჯეო ინვესტიკა“ (ს/ნ. 243859749), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ.

№12-03240741-03 14/03/2024

17. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ძოწის ქუჩა N2-4-ში, N01.14.01.008.092 ; N01.14.01.008.093; N01.14.01.008.096 და N01.14.01.008.097 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ **№12-032408232-03 22/03/2024წ**

18. ქ. თბილისში, კრწანისის I ჩიხი, N2ბ-ში მდებარე N3 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.18.06.018.104.01.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **№12-032408104-03 22/03/2024წ**

19. ქ. თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N26 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.394.01.01.026) და ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება, III მასივში, ზემო პლატო N19ა-ში მდებარე N61 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.19.20.005.031.01.01.061) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **№12-032408102-03 22/03/2024წ**

20. ქ. თბილისში, სოფელ დიდოში მდებარე N37 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.72.14.055.214.01.04.037) და ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N22 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.12.12.001.414.01.01.022) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **№12-0324082101-03 22/03/2024წ**

21. ქ. თბილისში, პეტრე ხვედელიძის ქ. N8-ში მდებარე N15 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.008.153.02.01.015), ქ. თბილისში, ვალენტინ თოფურიძის ქ. I შესახვევი N2/ ვალენტინ თოფურიძის ქ. N15-ში მდებარე N17 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.10.10.020.214.01.01.017) და ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N143 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.12.12.001.414.01.01.143) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **№12-032408298-03 22/03/2024წ**

22. ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე N13 და N30 ბინების (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.154.01.01.013; N01.14.05.008.154.01.01.030) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე **№12-032408299-03 22/03/2024წ**

23. ქ. თბილისში, ანა პოლიტოკოსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე N81 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.154.01.01.081), ქ. თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ. N30ბ-ში მდებარე N19 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.12.02.020.019.01.01.019) და ქ. თბილისში, ილია სუხიშვილის ქ. N45-ში მდებარე N43 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.19.39.029.046.01.02.043) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-032408297-03 22/03/2024წ

24. ქ. თბილისში, პეტრე ხვედელიძის ქ. N8-ში მდებარე N13 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.008.153.02.01.013) და ქ. თბილისში, სოფელ დიდომში მდებარე N38 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.72.14.055.214.01.04.038) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-032408295-03 22/03/2024წ

25. ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. N102-ში მდებარე N507 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.11.10.010.033.01.01.507) და ქ. თბილისში, ანა პოლიტოკოსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე N32 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.154.01.01.032) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-032408292-03 22/03/2024წ

26. „ქალაქ თბილისში, ნუგუბიძის ქუჩა N76-ში არსებული 37.39 უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.03.003.002.01.521) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-032408293-03 22/03/2024წ

27. „ქ. თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 023 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.02.001.112) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის N42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. №12-032408659-03 26/03/2024წ

28. ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩა N52-ის მიმდებარედ 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.12.061.005) პირდაპირი განკარგვის წესით ვაჟა აბრამიშვილისთვის (პ/ნ: 01011025268) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-032408296-03 22/03/2024წ

29. ქ. თბილისში, ანტონოვსკაიას ქ. N35ბ-ს მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.15.018.014) პირდაპირი განკარგვის წესით ირინა თაბორიძისთვის (პ/ნ: 01024022247) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-032407872-03 18/03/2024წ

30. ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N75-79-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 1074 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.04.013.051) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ეკატერინე კაჭარავასთვის (პ/ნ: 62001005958) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-03240672-03 7/03/2024წ

31. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აჩისთვის“ (ს/ნ: 202911055) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-032407873-03 19/03/2024წ

32. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით თამაზ გოგობერიშვილისთვის (პ/ნ: 01006003711) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-03240674-03 7/03/2024წ

33. ქ. თბილისში, მამია გურიელის ქ. N5ა-ში მდებარე ფართების (ს/კ: 01.14.15.001.300.03.03.005ა; 01.14.15.001.300.03.03.518) პირდაპირი განკარგვის წესით ა.ა.ი.პ - ეკო სოკოსთვის (ს/ნ: 427726348) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-03240671-03 7/03/2024წ

34. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, N01.17.02.001.680 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 57 573 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „კომპანია ჯაოკენი ბილდინგისთვის“ (ს/ნ 404566947), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ №12-032406782-03 7/03/2024წ

35. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „არეა დეველოპმენტს“ (ს/ნ: 405476872) შორის 2022 წლის 3 აგვისტოს გაფორმებული „ქ. თბილისში, ნუგუბიძის ფერდობზე, IV მიკრო/რაიონის მიმდებარედ, ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.14.01.001.423 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 17173 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „არეა დეველოპმენტის“ (დღეის მდგომარეობით - შპს „დეკა ლისი“ - ს/ნ: 405476872) გათავისუფლების თაობაზე №12-032406771-03 7/03/2024წ

36. ქალაქ თბილისში, დიდი დიდმის დასახლების II მიკრორაიონის კორპუსი N27ა-ს მიმდებარედ, N01.10.06.006.352 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3605 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტისათვის“ (ს/ნ: 404438649), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ. №12-03240741-03 14/03/2024წ

37. „ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და შპს „სასკოს“ (ს/ნ. 205045636) შორის 2008 წლის 18 იანვარს გაფორმებულ „უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-03240721-03 12/03/2024წ

38. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულს შორის, 2015 წლის 7 ივლისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-----53-15674 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის ცვლილების საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-032406783-03 11/03/2024წ

39. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ნექსუსს“ (ს/ნ: 405263646; უფლებამონაცვლე: შპს „ილიარდი“ (ს/ნ: 205278386)) შორის 2020 წლის 05 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-548-1-25622 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-03240742-03 14/03/2024წ

40. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ პირობებით გამოცხადებული აუქციონის საფუძველზე 2019 წლის 14 ნოემბერს გაფორმებული №ე-492-6-24304 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-03240752-03 15/03/2024წ

41. 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერტის“ (ს/ნ. 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.16.03.058.062) განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის განსაზღვრის საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-032408774-03 27/03/2024წ, №12-032408779-03 27/03/2024წ

42. „ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირი N15- ში, მე-6 სართულზე არსებული 2449.77 კვ.მ ფართიდან (საკადასტრო კოდი: N01.12.09.021.005.01.502) 600.9 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციისთვის (ს/ნ 204889282) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე. №12-032408780-03 27/03/2024წ

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა , დღის წესრიგიდან რიგით 23 საკითხის ამოღების შესახებ.

მომხრე-

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი წინადადების გათვალისწინებით.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით, რომლის თანახმად სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელიდან მისაღები შემოსავლების 100% ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სხვა შემოსავლების ნაწილში მცირდება სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელიდან მისაღები შემოსავლები - 50,0 ათასი ლარით, ხოლო იზრდება პროცენტები - 4

050,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 4 000,0 ათასი ლარით და შეადგენს 2 008 389,6 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის: **იზრდება** გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) ქვეპროგრამის ასიგნებები - 200,0 ათასი ლარით, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) - 600,0 ათასი ლარით, უკანონო ნაგებობების დემონტაჟი (კოდი 02 09 09) - 300,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) - 2 500,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) - 500,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 15) - 1000,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 16 09) - 550,0 ათასი ლარით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) - 450,0 ათასი ლარით, იურიდიული კლინიკა (კოდი 07 05 02) - 14,5 ათასი ლარით, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი 08 01 02) - 44,1 ათასი ლარით, საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" (კოდი 08 04 01) - 24,8 ათასი ლარით, ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა პატრონობა (კოდი 08 04 03) - 53,1 ათასი ლარით, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნებები - 2 475,3 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 03) ქვეპროგრამის ასიგნებები - 2 995,0 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) - 485,5 ათასი ლარით, საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა (კოდი 08 10) პროგრამის ასიგნებები - 60,0 ათასი ლარით, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) - 300,0 ათასი ლარით. **მცირდება** ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 5 500,0 ათასი ლარით, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) ქვეპროგრამის ასიგნებები - 13,1 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) - 2995,0 ათასი ლარით, შემოქმედებითი თბილისი (კოდი 08 09) პროგრამის ასიგნებები - 44,1 ათასი ლარით.

ასევე, **დაზუსტდა** ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა შემდეგ პროგრამასა და ქვეპროგრამებში, კერძოდ: საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" (კოდი 08 04 01) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდის" მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 2 ერთეულით, ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა პატრონობა (კოდი 08 04 03) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონის მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 1 ერთეულით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 1 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4878 ერთეულით.

მომხრე-6; თავი შეიკავა ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებთან უმრავლესობამ მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, სასესხო შეთანხმების ხელმისაწვდომობის ვადის გახანგრძლივებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი- დავით ბოდოკია

დავით ბოდოკიას მოხსენებით, საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2018 წლის 27 ნოემბერს „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ გაფორმდა სასესხო შეთანხმება 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ევროს ოდენობით, რის შემდგომაც აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისერვის ჯგუფი“-ს შორის 2019 წლის 6 მარტს ხელი მოეწერა ქვესასესხო ხელშეკრულება. საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს (EBRD) შორის არსებულ სასესხო შეთანხმებაში 2021 წლის 01 ივლის , განხორციელდა ცვლილება რის შესაბამისადაც, „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ დამატებით გამოყოფილ იქნა 3 030 000 (სამი

მილიონ ოცდაათი ათასი) ევროს ოდენობის სესხი (შემდგომში „დამატებითი თანხა“), და ჯამურად სესხის სახით გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 18 030 000 (თვრამეტი მილიონ ოცდაათი ათასი) ევრო.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სასესხო შეთანხმების შესაბამისად, სასესხო ხელმისაწვდომობის ვადა იწურება 2024 წლის 01 ივლისს და აუცილებელია განხორციელდეს მიმართვა ფინანსთა სამინისტროსთან რათა, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკმა (EBRD), შეთანხმების შესაბამისად გამოიჩინოს ინიციატივა და მოხდეს სასესხო შეთანხმების ხელმისაწვდომობის 2 წლის ვადით გახანგრძლივება.

მომხსენებლის განმარტებით, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტი სამ კომპონენტია და მოიცავს : ავტოპარკის განახლებას; გადამტვირთი სადგურის მშენებლობა/რეაბილიტაციას; ნაგავსაყრელ პოლიგონზე წყლის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციას. პროექტის განხორციელებისას გაჩნდა არსებითი შემაფერხებელი გარემოებები, რატომაც დღეის მდგომარეობით ვერ განხორციელდა სესხის სახით გამოყოფილი თანხის სრული ათვისება. პირველ რიგში აღსანიშნავია პრობლემა საკონსულტაციო მომსახურებასთან დაკავშირებით, ბანკის მიერ გამოცხადებულ ტენდერში, შეირჩა საკონსულტაციო კომპანია “Geo Consultants“-ი, რის საფუძველზეც 2019 წლის 10 აპრილს გაფორმდა საკონსულტაციო ხელშეკრულება შპს „თბილსერვის ჯგუფი“-სა და “Geo Consultants“-ს შორის. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, კონსულტანტების მიერ შემუშავებული იქნა სატენდერო დოკუმენტაციები. 2020 წლის 23 ივლისს გამოცხადდა ტენდერის პირველი ეტაპი საოპერაციო მანქანებისა და სპვე ტექნიკის შესყიდვის მიზნით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის(EBRD) წესების შესაბამისად ტენდერის მეორე ეტაპზე უნდა გადასულიყო მინიმუმ 2 პრეტენდენტი, რაც ვერ მოხერხდა და შესაბამისად ტენდერი გაუქმდა. კონსულტანტების მიერ არააფექტურად შესრულებული ტენიკური სპეციფიკაციების გამო, ხელმეორედ მოხდა სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და ტენდერი გამოცხადდა 2021 წლის 16 მარტს.

რაც შეეხება გადამტვირთი სადგურის მშენებლობა/რეაბილიტაციას, და ნაგავსაყრელ პოლიგონზე წყლის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციას, ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება შეეჩერებინა სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება, რადგან ჯერ კონსულტანტების მიერ შემუშავებული ტექნიკურ-ეკონომიკური ანგარიში (Feasibility Study) არ აკმაყოფილებდა ბანკის მოთხოვნებს. ნაჭური წყლების პროექტთან დაკავშირებით, მიღებული საინჟინრო გადაწყვეტილება არ შეესაბამებოდა რეალურ მდგომარეობას, შესაბამისად გადაწყვეტის გზა არ იყო ოპტიმალური კომპანიისათვის. შპს თბილსერვის ჯგუფმა მოიძია ინფორმაცია და აწარმოა მოლაპარაკებები სხვა და სხვა კონსულტანტებთან, რადგან საბოლოოდ გადაწყვეტილი ყოფილიყო ნაჭური წყლის გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაციის სამუშაოები. აქედან გამომდინარე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ მოხდა საკონსულტაციო კომპანიის (ერთობლივი საწარმო - ლიდერი ორგანიზაცია - GWCC-Interival ZT GmbH & TBU GmbH & DG Consulting ltd) შერჩევა, რომელიც ახორციელებს თბილისის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლას (Feasibility Study).

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2022 წლის 1 კვარტალში გამოცხადებული გადამტვირთავი სადგურის რეაბილიტაციის ტენდერი ჩაიშალა. დონორსა და თბილსერვის ჯგუფს შორის გაიმართა მოლაპარაკება მომხდარიყო ჯერ კონსულტანტის ჩანაცვლება GWCC BBVA-ი კომპანიით რათა მომხდარიყო კონსულტანტების მიერ რეკომენდირებული ტექნიკური მოთხოვნის შეფასება და რეკვალიფიკაცია. 2023 წლის მე-4 კვარტალში ხელახლა გამართული სატენდერო პროცედურა ჩატარდა წარმატებით გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია და ახლო მომავალში იწყება გადამტვირთავი სადგურის რეაბილიტაციის სამუშაოები.

როგორც სესხის მეორე კომპონენტზე, ნაჭური წყლების გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციის ტენდერის ტექნიკური მახასიათებლებისა და საინჟინრო გადაწყვეტილების მიღებაში დახმარება დაევალა GWCC BBVA-ს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტექნიკური მახასიათებლების დამუშავება და 2024 წლის მე-2 კვარტალში იგეგმება სატენდერო პროცედურების გამოცხადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროექტი საჭიროებს დამატებითი სამუშაოების განხორციელებას, რაც თავის მხრივ დროსთან არის დაკავშირებული ხოლო აღნიშნული სესხის ხელმისაწვდომობის ბოლო ვადა 2024 წლის 1 ივლისია, კომპანიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი 2 წლის ვადით გახანგრძლივება.

მომხრე-6; თავი შეიკავა ანა გოგოლაძემ.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებთან უმრავლესობამ მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლების I მიკრორაიონის კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010.01.036) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლება, I მიკრო / რაიონის, კორპუს N2ბ-ში, მე-3 სართულზე არსებული 13.03 კვ.მ ფართის ბინა N36-ი (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010.01.036) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე თამილა ტყეშელაშვილს (პ/ნ 01001062466) , რომელიც შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება , რომ მითითებულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 1990 წლიდან.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა პირებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 2 პირს (2 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემა მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები, კერძოდ: სერგეი ელიავა (პ/ნ 29001005740) დაკავებული ფართი - 75.56 კვ.მ და როლანდ კვარაცხელია (პ/ნ 51001026264) დაკავებული ფართი - 46.82 კვ.მ აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 122.38 კვ.მ ფართი . შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ როლანდი კვარაცხელია დაახლოებით 15-16 წელია და სერგეი ელიავა დაახლოებით 14 წელია, ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები, საკუთრებაში გადაეცემა 5 პირს (5 ოჯახს), რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. კერძოდ: კობა ქურდაძე (პ/ნ 57001013492) - დაკავებული ფართი - 67.29 კვ.მ; სულხანი ზარანდია (პ39001032410) დაკავებული ფართი - 67.85 კვ.მ; ბერიკა ბრეგვაძე(პ/ნ 54001018795) დაკავებული ფართი - 100.76 კვ.მ; გურამ გვრიტიშვილი (პ/ნ 01019076024) დაკავებული ფართი - 67.29 კვ.მ; დათო ხორავა (პ/ნ 48001004547) დაკავებული ფართი - 67.85 კვ.მ. აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 371.04 კვ.მ ფართი.

შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ზემოაღნიშნული პირები ოჯახებთან ერთად 12 წელია ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემათ იმ პირებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული

უძრავი ქონებით. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 5 პირს (5 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემა მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები, კერძოდ: მაია ახალკაცი (პ/ნ 01007004370) დაკავებული ფართი - 67.85 კვ.მ; ლალი ხუნჯუა (პ/ნ 58001028250) დაკავებული - 100.76 კვ.მ; თემურ კვარაცხელია (პ/ნ 51001008165) დაკავებული ფართი - 67.29 კვ.მ; იათაშუ გველესიანი (პ/ნ 01007000401) დაკავებული ფართი - 67.85 კვ.მ; კოსტანტინე ჯიმშელიძევილი (პ/ნ 37001000415) დაკავებული ფართი - 100.76 კვ.მ; აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 404.51 კვ.მ ფართი

შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ზემოაღნიშნული პირები ოჯახებთან ერთად 12-13 წელია ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N134-ში არსებული 52.75 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.070.01.500) და 22.94 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.070.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N134, 1 სართულზე არსებული 52.75 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.070.01.500) და ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N134, მე-2 სართულზე არსებული 22.94 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.070.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე თამარ ბრეგვაძეს (პ/ნ: 01011089034), რომელიც შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით დასტურდება, რომ 2007 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის I შესახვევი N4-ში მდებარე 76.22 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.060.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის I შესახვევი N4, სართული 1, ბინა N1-ში არსებული 76.22 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.060.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე იოსებ მაღრაძეს (პ/ნ: 01019020999) , რომელიც შსს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დგინდება, რომ) დაახლოებით 31 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115-ში არსებული 33.37 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031.01.515) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115, მე-2 სართულზე არსებული 33.37 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031.01.515) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ინგა აბრამიშვილს (პ/ნ: 01011017528). მოქალაქე ინგა აბრამიშვილი (პ/ნ: 01011017528) ოჯახთან ერთად, 1997 წლიდან ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9-ში არსებული 76.20 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.032) და 76.20 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.042) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის N19.388.520 განკარგულებისა და „ქალაქ თბილისში, დასახლება აეროდრომი, ქუჩა II, N3-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9; ქალაქი თბილისი, აეროდრომის დასახლება, II ქუჩა N3-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, აეროდრომის დასახლება, მე-2 ქუჩა, მე-2 გასასვლელი, სახლი N20-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დასახლება აეროდრომი, ქუჩა მე-2, გასასვლელი მე-2, სახლი, N20; ქალაქი თბილისი, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N11-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.001.514; N01.19.36.001.515) მრავალფუნქციური (საცხოვრებელი, საოფისე, კომერციული) კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ფუნქციის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისა და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 9 სექტემბრის Nბ01.01192528 ბრძანების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „პილარ ჯგუფი - კრწანისი“-ს (ს/ნ: 406282240) შორის 2019 წლის 31 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ და შესაბამის უძრავ ქონებაზე განაშენიანების ინტენსივობის (კ2) კოეფიციენტის გაზრდის მაკომპენსირებელ ღონისძიებად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის 2019 წლის 31 დეკემბრის N67-01193651003 წერილის თანახმად, კომპანიას, მუნიციპალიტეტისათვის ჯამში **198.6 კვ.მ** საცხოვრებელი ფართის გადაცემა, ე.წ. „თეთრი კარკასის მდგომარეობაში“, ვალდებულების სახით განისაზღვრა. მითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში კომპანიის მიერ მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცა შემდეგი უძრავი ქონება: ქალაქ თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9, სართული 5, ბინა N16-ში არსებული 48.40 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.016, წინა კოდი: 01.19.36.001.522.01.01.016); ქალაქ თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9, სართული 7, ბინა N32-ში არსებული 76.20 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.032, წინა კოდი: N01.19.36.001.522.01.01.032) და ქალაქ თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9, სართული 8, ბინა N42-ში არსებული 76.20 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.042, წინა კოდი: N01.19.36.001.522.01.01.042) ე.წ. „თეთრ კარკასულ მდგომარეობაში“.

სააგენტოს მიერ N01.17.10.013.001.01.07.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება 120710 (ასოცი ათას შვიდას ათი) ლარად, N01.17.10.013.001.01.07.032 საკადასტრო ერთეული 180061 (ას ოთხმოცი ათას სამოცდაერთი) ლარად, ხოლო N01.17.10.013.001.01.07.042 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება 180061 (ას ოთხმოცი ათას სამოცდაერთი) ლარად ორჯერ გამოცხადდა ელექტრონულ აუქციონზე, თუმცა მითითებული უძრავი ქონების გასხვისება არ განხორციელდა. შესაბამისად, სააგენტოსა და კომპანიას შორის 2021 წლის 4 ნოემბერს დადებულ იქნა „ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი“.

კომპანიის მიერ მოძიებულ იქნა დაინტერესებული პირი (ირინე ოთარაშვილი (პ/ნ: 3500110503)), რომელიც გამოთქვამს მზაობას შეიძინოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9, სართული 7, ბინა N32-ში არსებული 76.20 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.032) და ქალაქ თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9, სართული 8, ბინა N42-ში არსებული 76.20 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.042) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული ღირებულების (N01.17.10.013.001.01.07.032 საკადასტრო ერთეული - 180061 (ას ოთხმოცი ათას სამოცდაერთი) ლარი და N01.17.10.013.001.01.07.042 საკადასტრო ერთეული - 180061 (ას ოთხმოცი ათას სამოცდაერთი) ლარი) ნაცვლად, N01.17.10.013.001.01.07.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება 156679 (ას ორმოცდათექვსმეტი ათას ექვსას სამოცდაცხრამეტი) ლარად (არაუმეტეს 15%-ით ნაკლები ღირებულებით) და N01.17.10.013.001.01.07.042 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება 156679 (ას ორმოცდათექვსმეტი ათას ექვსას სამოცდაცხრამეტი) ლარად (არაუმეტეს 15%-ით ნაკლები ღირებულებით). ამასთან, დაინტერესებული პირის მიერ უძრავი ქონების შეძენა განხორციელდება „პრივატიზების წესით“ განსაზღვრული საპრივატიზებო პირობებით. კერძოდ, დაინტერესებულმა პირმა ამ განკარგულების დანართით განსაზღვრული საპრივატიზებო საფასურის გარდა უნდა უზრუნველყოს კომპანიისთვის (უძრავი ქონების პირველდელი მესაკუთრისთვის) საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 1%-ის ოდენობის თანხის გადახდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, შესაძლებლად მიიჩნევს შპს „პილარ ჯგუფი - კრწანისი“-ს (ს/ნ: 406282240) შუამდგომლობის დაკმაყოფილებას მითითებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული

ბიუროს 2023 წლის 8 სექტემბრის N006366023 ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებულ ღირებულებაზე (N01.17.10.013.001.01.07.032 საკადასტრო ერთეული - 180061 (ას ოთხმოცი ათას სამოცდაერთი) ლარი და N01.17.10.013.001.01.07.042 საკადასტრო ერთეული - 180061 (ას ოთხმოცი ათას სამოცდაერთი) ლარი) ნაკლები ოდენობით გასხვისებას.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ტაბახმელას დასახლება, კორპუსი N5-ში არსებული 88.83 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 81.02.07.369.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ტაბახმელას დასახლება, კორპუსი N5, სართული 1-ზე არსებული 88.83 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N81.02.07.369.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე რამაზი თათულაშვილს (პ/ნ: 12002066318) . რამაზი თათულაშვილი ოჯახთან ერთად 1998 წლიდან ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრო/რაიონის კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები, საკუთრებაში გადაეცემა 4 პირს (4 ოჯახს). კერძოდ: თინათინ მაჩაბელი (პ/ნ 59001066118) დაკავებული ფართი - 17.08 კვ.მ; ლევან გიორგაძე (პ/ნ 01001077271) დაკავებული ფართი - 17.91 კვ.მ; ნინო სისაური (პ/ნ 01001033154) დაკავებული ფართი - 14.18 კვ.მ; ნანი სამხარაძე (პ/ნ 01001032981) დაკავებული ფართი - 17.14 კვ.მ; აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 66.31 კვ.მ ფართი

შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ მოქალაქეები 28 წელია ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N11 და N88 ბინების (მშენებარე) (ს/კ: N01.12.12.001.414.01.01.011; N01.12.12.001.414.01.01.088) და ქ. თბილისში, ილია სუხიშვილის ქ. N45-ში მდებარე N50 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.19.39.029.046.01.02.050) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე, N01.14.14.003.143 და N01.14.14.003.102 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ტერიტორია წარმოადგენს დაუსრულებელ მშენებლობას, რომელიც წლების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემაა ამ მშენებლობით დაინტერესებული პირებისთვის. ეს მშენებლობა ითვალისწინებდა გარკვეულ პირთა საცხოვრებლებით დასაკმაყოფილებლად მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის აშენებას. მშენებლობის მწარმოებლად განისაზღვრა შპს „ამირანი“ (ს/ნ: 208153996), რომლის მიერ განსახორციელებელი სამშენებლო ღონისძიებები გაჭიანურდა. შემდგომ პერიოდში მიღებული, მუნიციპალური ორგანოების და სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, აღნიშნულ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულებები, რომლებიც, ამ დაუსრულებელი ობიექტის ნაწილში ითვალისწინებდა მშენებლობის გაგრძელების და მისი დასრულების ვალდებულებას. კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულებები

მოიძალა და მშენებარე ობიექტი დარჩა დაუსრულებელ მდგომარეობაში. დღეისათვის, ობიექტში რეგისტრირებულია როგორც ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებული ფართები, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის და შპს „ამირანის“ (ს/ნ: 208153996), საკუთრებად რეგისტრირებული ფართები.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებით მიმართეს ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 122 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.041) თანამესაკუთრებმა - ანზორ ბალუაშვილმა (პ/ნ: 01009007447), ირმა ბალუაშვილმა (პ/ნ: 01009001465), ლიზი გაჩეჩილაძემ (პ/ნ: 01008060691), მანანა ფოცხიშვილმა (პ/ნ: 01009001464), ნიკოლოზ გაჩეჩილაძის (პ/ნ: 01101121863) კანონიერმა წარმომადგენელმა და თანხმობა განაცხადეს აღნიშნული ფართის სანაცვლოდ ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში რეგისტრირებული N11 და N88 ბინების (მშენებარე) (ს/კ: N01.12.12.001.414.01.01.011; N01.12.12.001.414.01.01.088) და ქ. თბილისში, სუხიშვილის ქ. N7-ში რეგისტრირებული N50 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.19.39.029.046.01.02.050) მიღებაზე.

აღნიშნულ პირთა თანასაკუთრებაში არსებული ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.041) საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 476166 (ოთხას სამოცდათექვსმეტი ათას ას სამოცდაექვსი) ლარის ოდენობით; თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების: N01.12.12.001.414.01.01.011; N01.12.12.001.414.01.01.088 და N01.19.39.029.046.01.02.050 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა შესაბამისად - 189968 (ას ოთხმოცდაცხრა ათას ცხრაას სამოცდარვა) ლარის, 189968 (ას ოთხმოცდაცხრა ათას ცხრაას სამოცდარვა) ლარის და 90961 (ოთხმოცდაათი ათას ცხრაას სამოცდაერთი) ლარის ოდენობით (ჯამურად: 470897 ლარი).

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნულ პირთათვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად თანასაკუთრებაში გადაცემას და მათ ფართზე მათი თანასაკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ დათმობას.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლძემ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-10 კვარტლის კორპუს N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.028.013.01.017) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, მე-10 კვარტალში, კორპუს N9-ში, არსებული 49.00 კვ.მ ფართის ბინა N17-ი (საკადასტრო კოდი: N01.19.20.028.013.01.017) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე თენგიზ ალადაშვილს (პ/ნ 01013011969).

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით და გამგეობის წერილით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული პირი დაახლოებით 25 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე ცხოვრობს.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლძემ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 3 პირს (3 ოჯახს). მარინა ხაბულიანი (პ/ნ 53001021909) დაკავებული ფართი - 101.86 კვ.მ; მარინა მიქავა (პ/ნ 39001027129) დაკავებული ფართი - 46.33 კვ.მ; ნათია აბუაშვილი (პ/ნ 55001003193) დაკავებული ფართი - 27.82 კვ.მ და 2.72 კვ.მ; აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 178.73 კვ.მ ფართი

შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული პირები მითითებულ მისამართზე ცხოვრობენ დაახლოებით 9-10 წელია.

მომხრე-6 თავი შეიკავა-ანა გოგოლძემ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ვარკეთილის მესამე მასივში მდებარე რიგი ავარიული კორპუსების ჩანაცვლების მიზნით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში, №01.19.20.025.110, №01.19.20.025.112, №01.19.20.025.114 და №01.19.20.025.072 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჯამურად 11 008 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთების ინტერესთა გამოსატყვამი გამარჯვებული პირის - შპს „ლიტ ჯეო ინვესტიისათვის“ (ს/ფ. 243859749), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 20 დეკემბრის №23.2000.2242 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №652 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: (www.tbilisi.gov.ge) 2023 წლის 29 დეკემბრიდან 2024 წლის 02 თებერვლის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოსატყვა „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში მდებარე რიგი ავარიული კორპუსების ჩანაცვლების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“.

ინტერესთა გამოსატყვის საგანს წარმოადგენდა ინტერესთა გამოსატყვამი გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში მდებარე, ჯამში 11 008 კვ.მ. მიწის ნაკვეთებზე (შემდგომში: **საპრივატიზებო ქონება**) სამშენებლო პროექტის განხორციელება და პროექტის ფარგლებში, ქ. თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში მდებარე რიგ ავარიულ შენობა-ნაგებობებში მცხოვრები პირების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა, იმ პირობით, რომ აღნიშნული პირები მათ საკუთრებაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობებზე საკუთრების უფლებას დაუთმობენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს. ინტერესთა გამოსატყვამი გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ლიტ ჯეო ინვესტი“ (ს/კ: 243859749), რომლის მიერ შეთავაზებული ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების ჯამური ფართობი (აივნის ფართების გათვალისწინების გარეშე) შეადგენს 9950 (ცხრა ათას ცხრაას ორმოცდაათი) კვ.მ-ს.

ინტერესთა გამოსატყვის პირობების შესაბამისად, კომპანიამ სააგენტოში წარმოადგინა უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია 5 500 000 (ხუთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის მიერ შესაბამისი იმპლემენტაციის ხელშეკრულების გაფორმებას და ინტერესთა გამოსატყვის პირობებითა და ხელშეკრულებით ნაკისრი შესაბამისი ვალდებულებების შესრულებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინტერესთა გამოსატყვის შედეგების საფუძველზე, იგეგმება კომპანიასთან შესაბამისი იმპლემენტაციის ხელშეკრულების გაფორმება, შესაბამისი საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების პირობით, საპრივატიზებო ქონების კომპანიის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

საპრივატიზებო ქონებას (ინტერესთა გამოსატყვის გამოცხადების ეტაპზე არსებული შესაბამისი მიწის ნაკვეთების გერთიანების შედეგად) წარმოადგენს შემდეგი მიწის ნაკვეთები:

ს/კ: 01.19.20.025.110 – 1951 კვ.მ.; ს/კ: 01.19.20.025.112 – 4188 კვ.მ.; ს/კ: 01.19.20.025.114 – 4840 კვ.მ.; ს/კ: 01.19.20.025.072 – 29 კვ.მ. საპრივატიზებო ქონების განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვრება 5.0-ით, შესაბამისად კ-2 საანგარიშო სრული ფართობი შეადგენს 55 040 (ორმოცდაათხუთმეტი ათას ორმოცი) კვ.მ.-ს.

საპრივატიზებო საფასური განისაზღვრება სიმბოლური 1 (ერთი) ლარის ოდენობით, ხოლო გადმოსაცემი ფართების ფართობი (აივნის ფართების გათვალისწინების გარეშე), ინტერესთა გამოსატყვის შედეგების გათვალისწინებით, განისაზღვრება 9950 (ცხრა ათას ცხრაას ორმოცდაათი) კვ.მ-ის ოდენობით.

პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის გადმოსაცემი ფართებით, უპირატესად განიხილება საპრივატიზებო ქონების მიმდებარედ არსებულ, №01.19.20.025.007, №01.19.20.025.008, №01.19.20.025.010 და №01.19.20.025.012 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მდებარე საცხოვრებელი დანიშნულების მრავალბინიანი ავარიული შენობა-ნაგებობების მესაკუთრეთა დაკმაყოფილება. პროექტში მონაწილეობაზე აღნიშნულ პირთა თანხმობების მოპოვების, მათ საკუთრებაში არსებული ქონების აზომვითი ნახაზების მომზადების და მათთვის გადასაცემი ფართების პარამეტრების დადგენის მიზნით, კომპანიას მიეცემა 3 (სამი) თვიანი ვადა. თუ კომპანიის მაქსიმალური ძალისხმევის მიუხედავად, ამ ვადაში შესაბამისი მოლაპარაკებების წარმოება და სრულყოფილი დოკუმენტაციის მოპოვება/წარმოდგენა ვერ განხორციელდა, სააგენტო უფლებამოსილია შეწყვიტოს პროექტი და კომპანიას დაუბრუნოს საბანკო გარანტია, ან განსაზღვროს

სხვა ჩასანაცვლებელი კორპუს(ებ)ი და მათ მესაკუთრეებთან მოლაპარაკებების წარმოების მიზნით, განსაზღვროს შესაბამისი ვადები. ზემოაღნიშნული მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებისა და შესაბამისი სრულყოფილი დოკუმენტაციის მოპოვების/წარმოდგენის შემთხვევაში, დასაკმაყოფილებელი პირებისათვის გადასაცემი ფართების სააგენტოს მიერ შეთანხმებიდან აითვლება შესაბამისი ლოტის სამშენებლო ვადები:

ფართების შეთანხმებიდან 4 თვე მშენებლობის ნებართვის მოპოვებისათვის;

ნებართვის მოპოვებიდან 18 თვე კორპუსის კარკასულ მდგომარეობაში მოყვანისათვის;

ნებართვის მოპოვებიდან 30 თვე მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციაში მიღებისათვის.

გადმოსაცემ ფართებს კომპანია გადასცემს მუნიციპალიტეტს საპრივატიზებო ქონებაზე ასაშენებელი შენობა-ნაგებობიდან, რომლის მშენებლობაც წინ უსწრებს სხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობას, „თეთრ კარკასულ“ მდგომარეობაში. სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, შესაბამის დასაკმაყოფილებელ პირებთან (ავარიული შენობა-ნაგებობების მესაკუთრეებთან) გაფორმდება ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც, გადმოსაცემი ფართებიდან შესაბამის ბინებზე მოთხოვნის უფლებები გადაეცემათ დასაკმაყოფილებელ პირებს, ჩასანაცვლებელ კორპუსებზე საკუთრების უფლების მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის სანაცვლოდ. ამასთან, სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტისათვის გადმოსაცემი ფართების ის ნაწილი, რაც აღემატება დასაკმაყოფილებელ პირთათვის გადასაცემი ბინების საერთო ფართობს, შესაძლებელია მოხმარდეს მათი ბინების რემონტს - ამ მიზნით, კომპანია გამოისყიდის აღნიშნულ ნამეტ ფართებს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დადგენილი ფასით და აღნიშნული ღირებულების ფარგლებში უზრუნველყოფს ბინების რემონტს.

კომპანიის მიერ ვალდებულებების შესრულების პარალელურად, შესაძლებელია საბანკო გარანტიის ეტაპობრივად შემცირება. კომპანიის მიერ ვალდებულებების შესრულების პარალელურად, ასევე შესაძლებელია საპრივატიზებო ქონებაზე წარმოქმნილი ინდივიდუალური ფართების (გადმოსაცემი ფართების გამოკლებით) ეტაპობრივად გათავისუფლება საპრივატიზებო ქონებაზე რეგისტრირებული საპრივატიზებო ვალდებულებებისაგან.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში, №01.19.20.025.110, №01.19.20.025.112, №01.19.20.025.114 და №01.19.20.025.072 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჯამურად 11 008 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, ინტერესთა გამოსატყაობი გამარჯვებული პირის - შპს „ლიტ ჯეო ინვესტიისათვის“ (ს/კ: 243859749) განსაზღვრული საპრივატიზებო პირობებით საკუთრებაში გადაცემა და მასთან დასაბუთებელი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმება, „ვარკეთილის მესამე მასივში მდებარე რიგი ავარიული კორპუსების ჩანაცვლების მიზნით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში, №01.19.20.025.110, №01.19.20.025.112, №01.19.20.025.114 და №01.19.20.025.072 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჯამურად 11 008 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთების ინტერესთა გამოსატყაობი გამარჯვებული პირის - შპს „ლიტ ჯეო ინვესტიისათვის“ (ს/ნ. 243859749), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 13 მარტის №24.419.466 განკარგულების დანართის შესაბამისად.

მომხრე-5 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ, მიხეილ კაკაურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ძოწის ქუჩა N2-4-ში, N01.14.01.008.092 ; N01.14.01.008.093; N01.14.01.008.096 და N01.14.01.008.097 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 8 თებერვლის N23.160.174 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის N58 განკარგულებების საფუძველზე, სააგენტოს, ამხანაგობა „ძოწის“, შპს „ჰორვატის“-სა (ს/ნ: 405349154) და

კომპანიას - შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე“ (ს/ნ: 405589395) შორის 2023 წლის 24 თებერვალს გაფორმდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ჰორვატს“-ს (ს/ნ: 405349154) შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატისათვის“ (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ შეთანხმება .

აღნიშნული შეთანხმებით შეიცვალა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზოგიერთი ვადა და მის საფუძველზე, აგრეთვე, შემოხსენებულ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობაში შპს „ჰორვატი“ (ს/ნ: 405349154) სრულად ჩაანაცვლა შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე“-მ (ს/ნ: 405589395) და ხელშეკრულების მხარედ, შპს „ჰორვატის“ (ს/ნ: 405349154) ნაცვლად, განისაზღვრა აღნიშნული კომპანია.

შემოადინებული განკარგულებებით დასაკმაყოფილებელ პირთა საიში, ასევე გათვალისწინებული იყო N598 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის 1 წევრი , რომელმაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ვერ შეძლო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა. შესაბამისად, პროცესის გაჭიანურების თავიდან არიდებისა და მხარეთა შორის ხელშეკრულების მაქსიმალურად მოკლე ვადაში გაფორმებისთვის, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 3 თებერვლის N21.93.107 განკარგულების დანართი N1-ში განხორციელებულიყო ცვლილება დამოქალაქის მიერ მისაღები წილი მიწის ნაკვეთიდან - 123. 522 კვ. მ. გადაცემოდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ კომპანიას - შპს „ჰორვატს“ ხოლო 78.64 კვ. მ. ფართი თეთრი კარკასის მდგომარეობით - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს/სააგენტოს - შემდგომში მისთვის ან მისი უფლებამონაცვლე პირისთვის/პირებისთვის გადაცემის უზრუნველყოფის პირობით.

გარდა ამისა, შემოადინებული განკარგულებების გამოცემის დროისთვის, კოოპერატიული ბინათმშენებლობიდან გამომდინარე სახელმწიფო საბინაო ვალის დაფარვის მიზნით უძრავი ქონების მართვის გადაცემის მოთხოვნით, N645 კოოპერატივის წევრთა ნაწილს (5 პირი) სააგენტოსთვის არ მოუმართავს. ვინაიდან, მათ წინაშე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო საბინაო ვალის არსებობის ფაქტი აღიარებულია, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ პროექტის ფარგლებში, აღნიშნული პირების მიერ მისაღები - 457.17 კვ. მ. -საცხოვრებელი ფართის შესაბამის ოდენობას, საკუთრებაში მიიღებდა სააგენტო. ამასთანავე, N645 კოოპერატივის 3 წევრის მიერ, განკარგულებების მომზადების დროისათვის, სააგენტოში არ იქნა წარმოდგენილი სრულყოფილი დოკუმენტაცია, მათ შორის, სამკვიდრო მოწმობები (ზოგიერთი მათგანის გარდაცვალებიდან არ იყო გასული 6 თვე, რის გამოც, სამკვიდრო მოწმობა ვერ გაიცემოდა, ზოგ შემთხვევაში, კი, წარმოდგენილი სამკვიდრო მოწმობები არ იყო სრულყოფილი და საჭიროებდა დაზუსტებას). აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ პროექტი არ დაყოვნებულიყო, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული კომპანიის მიერ, მითითებული ფართის სააგენტოსათვის გადაცემა. აღნიშნული პირების მხრიდან სააგენტოში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში კი მათთვის შესაბამის საცხოვრებელ ფართზე საკუთრების უფლების გადაცემას უზრუნველყოფდა სააგენტო. იგივე გადაწყვეტილება იქნა მიღებული ერთერთი მოქალაქის მიმართ, რომელიც შემოადინებული განკარგულებების გამოცემის დროისათვის, გარდაიცვალა და სააგენტოში არ იყო წარდგენილი სამკვიდრო მოწმობა და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია.

აღსანიშნავია, რომ შემოადინებულის გათვალისწინებით, კომპანიამ შემოადინებული პირებისთვის გადასაცემად გან საზღვრული ფართები, ხელშეკრულების პირობების თანახმად, საკუთრებაში გადასცა მუნიციპალიტეტს, დღეის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლება რეგისტრირებულია 10 (ათი) ინდივიდუალურ ფართზე, რომელთა ფართობი ჯამურად შეადგენს 967.21 კვ.მ-ს.

წარმოდგენილი პროექტით საკუთრების უფლება ცალკეულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ 635.50 კვ. მ. ფართზე ჯამურად გადაეცემა ჯამში 6 (ექვსი) პირს (მათ შორის ყოფილი N645 კოოპერატივის წევრ/მათ უფლებამონაცვლე ოთხ პირს), აგრეთვე, ყოფილი N641 კოოპერატივის და ყოფილი N598 კოოპერატივის წევრის მემკვიდრე/მემკვიდრეებს. აღნიშნულ პირთა მონაცემები იდენტიფიცირებულ იქნა სააგენტოს მიერ და ხსენებულ პირთა მიერ წარმოდგენილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და კანონით დადგენილი წესით შედგენილი ე.წ. თანხმობა მითითებულ პროექტიდან მათთვის შეთავაზებულ გადასაცემ შესაბამის ფართობზე. ვინაიდან, შემოადინებული პირები ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ში, ს/კ: N01.14.01.008.092; ს/კ:N01.14.01.008.093; ს/კ: N01.14.01.008.096 და ს/კ: N01.14.01.008.097 შესაბამისი ფართობის მიწის

ნაკვეთებიდან მათთვის განსაზღვრული ოდენობის ფართობის მიწის ნაკვეთ(ებ)იდან კუთვნილ წილთან დაკავშირებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების მიღების სანაცვლოდ და ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე რეგისტრირებულ მშენებარე ფართებზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ საკუთრების უფლების გადაცემის, სამშენებლო პროექტის განმახორციელებელი კომპანიის მიერ, ამავე ფართების მშენებლობადასრულებული მდგომარეობით საკუთრებაში გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით ადასტურებენ, რომ მათ მიერ სრულად იქნება შესრულებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით და შეთანხმებით განსაზღვრული კოოპერატივის წევრების ვალდებულებები. ასევე, აცხადებენ და ადასტურებენ, რომ გაეცნენ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კოოპერატივის წევრებს, სააგენტოსა და კომპანიას შორის გასაფორმებელი შეთანხმების პროექტს და თანახმა არიან, გააფორმონ შესაბამისი შეთანხმება ზემოთ მითითებული პირობებით. შესაბამისად, კოოპერატივის წევრების მიმართ არსებული სახელმწიფო საშინაო ვალი ჩაითვლება სრულად დაფარულად და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არ აქვთ/არც მომავალში წარმოემოხაზება რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნის უფლება.

მომხრე-6 თავი შეიკავა - ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, კრწანისის I ჩიხი, N2ბ-ში მდებარე N3 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.18.06.018.104.01.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე, N01.14.14.003.143 და N01.14.14.003.102 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ტერიტორია წარმოადგენს დაუსრულებელ მშენებლობას, რომელიც წლების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემაა ამ მშენებლობით დაინტერესებული პირებისთვის. ეს მშენებლობა ითვალისწინებდა გარკვეულ პირთა საცხოვრებლებით დასაკმაყოფილებლად მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის აშენებას. მშენებლობის მწარმოებლად განისაზღვრა შპს „ამირანი“ (ს/ნ: 208153996), რომლის მიერ განსახორციელებელი სამშენებლო ღონისძიებები გაჭიანურდა. შემდგომ პერიოდში მიღებული, მუნიციპალური ორგანოების და სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, აღნიშნულ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულებები, რომლებიც, ამ დაუსრულებელი ობიექტის ნაწილში ითვალისწინებდა მშენებლობის გაგრძელების და მისი დასრულების ვალდებულებას. კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულებები მოიშალა და მშენებარე ობიექტი დარჩა დაუსრულებელ მდგომარეობაში. დღეისათვის, ობიექტში რეგისტრირებულია როგორც ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებული ფართები, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის და შპს „ამირანის“ (ს/ნ: 208153996) საკუთრებად რეგისტრირებული ფართები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მშენებლობით დასრულებით დაინტერესებულ პირთა ინტერესების გათვალისწინებით, დღევანდელი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის შემთხვევაში სასურველი იქნებოდა აღნიშნული ობიექტის დასრულება, თუმცა, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილობითი პოზიციის მიხედვით, ზემოაღნიშნული საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების მიმდებარედ არსებული ინტენსიური/მჭიდრო განაშენიანების გათვალისწინებით, ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება და მისი კიდევ უფრო გამჭიდროება არ არის მიზანშეწონილი. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ქალაქის განვითარების პროცესში პრიორიტეტულია მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული გარემოს არსებობა და უზრუნველყოფა. შესაბამისად, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ს მიმდებარედ არსებული ინტენსიური მრავალბინიანი განაშენიანებისა და გადატვირთული საგზაო ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, საპროექტო ტერიტორია შესაძლებელია ჩაითვალოს არაოპტიმალურ სამშენებლო ობიექტად.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მშენებლობის დასრულებით დაინტერესებულ პირთათვის სანაცვლოდ გადასაცემ ფართებად განიხილება კერძო სამშენებლო კომპანიების მიერ აშენებულ/მშენებარე ობიექტებში თბილისის მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირებული ფართები. ეს ფართები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში მიღებული აქვს სამშენებლო კომპანიებისგან, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების მე-16¹ და მე-16² მუხლებით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიებებისა და ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის N19.388.520 განკარგულებით განსაზღვრული მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენების სანაცვლოდ. შესაბამისად, აღნიშნულ კომპანიებსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამონაცვლევად განისაზღვრებიან ქონების შემქნები.

საკითხის განხილვისას, გათვალისწინებული იქნება ფართების საბაზრო ღირებულებები. ამასთან, მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართები და სანაცვლოდ გადასაცემი ფართები შეფასდეს ერთნაირი მახასიათებლების მქონე ობიექტებად არსებობის დაშვებით, როგორც დასრულებულ კორპუსში თეთრი კარკასის კონდიციის მქონე უძრავი ქონება.

ზემოხსენებული პრინციპის გათვალისწინებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 08.05.23წ. N003045023 დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში (ს/კ: N01.14.14.003.143) მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ. ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდინციით, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3903 ლარის ოდენობით.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 10.06.23წ. N003971823 დასკვნით, ასეთივე დაშვებით, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, შეფასდა ის ფართებიც, რომლებიც განიხილება აღნიშნულ პირთათვის სანაცვლოდ გადასაცემად.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 69.5 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.025) შესაკუთრემ - მაყვალა ბერიანიძემ (პ/ნ: 01009008844) და აღნიშნული ფართის თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვა ქ. თბილისში, კრწანისის I ჩიხი, N2ბ-ში რეგისტრირებული N3 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.18.06.018.104.01.01.003) საკუთრებაში გადაცემა. ასევე აღნიშნა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტს გადაუხდიდა ფართების ღირებულებებს შორის სხვაობას.

ზემოაღნიშნული დასკვნებით, მაყვალა ბერიანიძის საკუთრებაში არსებული ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.025) საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 271258.5 (ორას სამოცდათერთმეტი ათას ორას ორმოცდათვრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით; თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.18.06.018.104.01.01.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა შესაბამისად - 286239 (ორას ოთხმოცდაექვსი ათას ორას ოცდაცხრამეტი) ლარის ოდენობით.

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნული პირისთვის საკუთრებაში გადაცემას და საპრივატიზებო პირობის სახით - მის ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

მომხრე-6 თავი შეიკავა - ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N26 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.394.01.01.026) და ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება, III მასივში, ზემო პლატო N19ა-ში მდებარე N61 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.19.20.005.031.01.01.061) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე .

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, საკითხი ეხება ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე, N01.14.14.003.143 და N01.14.14.003.102 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ტერიტორიის დაუსრულებელ მშენებლობას, რომელიც წლების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემაა ამ მშენებლობით დაინტერესებული პირებისთვის.

ამ შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, 09.11.23წ. განცხადებით მიმართა ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 105 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.034) შესაკუთრემ - მანანა თოდაძემ (პ/ნ: 01005000676) და აღნიშნული ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვა ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N12-ში რეგისტრირებული N26 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.394.01.01.026) და ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება, III მასივში, ზემო პლატო N19ა-ში რეგისტრირებული N61 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.19.20.005.031.01.01.061) საკუთრებაში გადაცემა.

აღნიშნული პირის საკუთრებაში არსებული ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.034) საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 409815 (ოთხას ცხრა ათას რვაასთუთმეტი) ლარის ოდენობით; თბილისის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული ქონების: N01.14.05.008.394.01.01.026 და N01.19.20.005.031.01.01.061 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა 253222 (ორასორმოცდაცამეტი ათას ორას ოცდაორი) და 154168 (ას ორმოცდაათოთხმეტი ათას ას სამოცდარვა) ლარის ოდენობით (ჯამურად: 407390 ლარი).

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნული პირისთვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას და საპრივატიზებო პირობის სახით - მის ფართზე საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

მომხრე-6 თავი შეიკავა - ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე N37 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.72.14.055.214.01.04.037) და ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N22 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.12.12.001.414.01.01.022) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტი წინა საკითხის ანალოგიურია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მიმართა ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული ფართის (ს/კ: 01.14.14.003.143.02.004) მესაკუთრემ - გრიგოლ ყიფიანმა (პ/ნ: 01026001476) და აღნიშნული ფართის თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში რეგისტრირებული ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.72.14.055.214.01.04.037) და ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ.ვ. ნინუას ქ. N3-ში რეგისტრირებული ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.12.12.001.414.01.01.022) საკუთრებაში გადაცემა.

გრიგოლ ყიფიანის საკუთრებაში არსებული ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 409815 (ოთხას ცხრა ათას რვაას თხუთმეტი) ლარის ოდენობით; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონება: N01.72.14.055.214.01.04.037 და N01.12.12.001.414.01.01.022 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა - 206041 (ორას ექვსი ათას ორმოცდაერთი) ლარის და 189968 (ას ოთხმოცდაცხრა ათას ცხრაას სამოცდარვა) ლარის ოდენობით (ჯამურად: 396009 ლარი).

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, გრიგოლ ყიფიანის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება მისთვის საკუთრებაში გადასაცემი უძრავი ქონების ღირებულებას, თუმცა, მისი განცხადების შესაბამისად, ზემოაღნიშნულ ფასებთან დაკავშირებით მას პრეტენზია არ გააჩნია.

მომხრე-6 თავი შეიკავა - ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, პეტრე ხვედელიძის ქ. N8-ში მდებარე N15 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.008.153.02.01.015), ქ. თბილისში, ვალენტინ თოფურიძის ქ. I შესახვევი N2/ ვალენტინ თოფურიძის ქ. N15-ში მდებარე N17 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.10.10.020.214.01.01.017) და ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N143 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.12.12.001.414.01.01.143) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, წარმოდგენილი საკითხი ეხება ისევ ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე, N01.14.14.003.143 და N01.14.14.003.102 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ტერიტორიის დაუსრულებელ მშენებლობას, რომელიც წლების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემაა ამ მშენებლობით დაინტერესებული პირებისთვის.

მოცემულ შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მიმართა ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 139.20 კვ.მ. ფართის (ს/კ: 01.14.14.003.143.01.029) მესაკუთრემ, ავთანდილ სილაგაძემ (პ/ნ: 01024008973) და მის საკუთრებად რეგისტრირებული ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვა ქ. თბილისში, პეტრე ხვედელიძის ქ. N8-ში რეგისტრირებული N15 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.008.153.02.01.015), ქ. თბილისში, ვალენტინ თოფურიძის ქ. I შესახვევი N2/ ვალენტინ თოფურიძის ქ. N15-ში რეგისტრირებული N17 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.10.10.020.214.01.01.017) და ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში რეგისტრირებული N143 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.12.12.001.414.01.01.143) საკუთრებაში გადაცემა.

ავთანდილ სილაგაძის საკუთრებაში არსებული ფართის (საკადასტრო კოდი: 01.14.14.003.143.01.029) საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 543297,6 (ხუთას ორმოცდასამი ათას ორას ოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და სამოცი თეთრი) ლარის ოდენობით, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.17.10.008.153.02.01.015, N01.10.10.020.214.01.01.017 და N01.12.12.001.414.01.01.143 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა - 139296 (ას ოცდაცხრამეტი ათას ორას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარის, 213568 (ორას ცამეტი ათას ხუთას სამოცდარვა) ლარის და 189968 (ას ოთხმოცდაცხრა ათას ცხრაას სამოცდარვა) ლარის ოდენობით (ჯამურად: 542832 ლარი).

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ავთანდილ სილაგაძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება მისთვის საკუთრებაში გადასაცემი უძრავი ქონების ღირებულებას, თუმცა, ზემოაღნიშნულ ფასებთან დაკავშირებით მას პრეტენზია არ გააჩნია.

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნული პირისთვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას და მის ფართზე მისი საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

მომხრე-6 თავი შეიკავა - ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე N13 და N30 ბინების (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.154.01.01.013; N01.14.05.008.154.01.01.030) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ეს საკითხიც არის ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე, N01.14.14.003.143 და N01.14.14.003.102 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ტერიტორიის დაუსრულებელი მშენებლობით დაზარალებულები.

ამ შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მიმართა ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მშენებარე ობიექტში რეგისტრირებული 105.6 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.048) მესაკუთრემ - ნინელი ჭანკვეტაძემ (პ/ნ: 01024013091) და აღნიშნული ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვა ქ. თბილისში, ანა პოლიტოვსკაიას ქ. N2ბ-ში რეგისტრირებული N13 და N30 ბინების (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.154.01.01.013; N01.14.05.008.154.01.01.030) საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნული პირის საკუთრებაში არსებული ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.048) საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 412156.8 (ოთხას თორმეტი ათას ას ორმოცდათექვსმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარის ოდენობით; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონება: N01.14.05.008.154.01.01.013; N01.14.05.008.154.01.01.030 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა - თითოეული 187294 (ას ოთხმოცდაშვიდი ათას ორას ოთხმოცდაათოთხმეტი) ლარის ოდენობით (ჯამურად: 374588 ლარი).

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნულ პირთათვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას და საპრივატიზებო პირობის სახით - მათ ფართზე მათი თანასაკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

მომხრე-6 თავი შეიკავა - ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, პეტრე ხვედელიძის ქ. N8-ში მდებარე N13 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.008.153.02.01.013) და ქ. თბილისში, სოფელ დილომში მდებარე N38 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.72.14.055.214.01.04.038) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ეს საკითხიც არის ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე, N01.14.14.003.143 და N01.14.14.003.102 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ტერიტორიის დაუსრულებელი მშენებლობით დაზარალებულები.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებით მიმართეს ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 105.6 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.063) თანამესაკუთრებმა - ლევან ჩირგაძემ (პ/ნ: 01018002039) და ნინო ჩირგაძემ (პ/ნ: 01017008258) და თანხმობა განაცხადეს აღნიშნული ფართის სანაცვლოდ ქ. თბილისში, პეტრე ხვედელიძის ქ. N8-ში რეგისტრირებული N13 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.008.153.02.01.013) და ქ.

თბილისში, სოფელ დიდოში რეგისტრირებული N38 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.72.14.055.214.01.04.038) მიღებაზე.

აღნიშნულ პირთა დასათმობი ფართის (ს/კ: 01.14.14.003.143.01.063) საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 339561 (სამას ოცდაცხრამეტი ათას ხუთას სამოცდაერთი) ლარის ოდენობით; თბილისის მუნიციპალიტეტის ქონება: N01.17.10.008.153.02.01.013 და N01.72.14.055.214.01.04.038 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა შესაბამისად - 182987 (ას ოთხმოცდაორი ათას ცხრაას ოთხმოცდაშვიდი) ლარის და 151372 (ას ორმოცდათერთმეტი ათას სამას სამოცდათორმეტი) ლარის ოდენობით (ჯამურად: 334359 ლარი).

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნულ პირთათვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას და საპრივატიზებო პირობის სახით - მათ ფართზე მათი თანასაკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

მომხრე-6 თავი შეიკავა - ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. N102-ში მდებარე N507 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.11.10.010.033.01.01.507) და ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე N32 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.154.01.01.032) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, საკითხი ეხება ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე, N01.14.14.003.143 და N01.14.14.003.102 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ტერიტორია წარმოადგენს დაუსრულებელ მშენებლობას, რომელიც წლების განმავლობაში მოუგვარებელ პრობლემას წარმოადგენს ამ მშენებლობით დაინტერესებული პირებისთვის. აღნიშნული საკითხის ფარგლებში, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, 16.10.23წ. განცხადებით მიმართეს ყიფშიძის ქ. N5ბ-ში რეგისტრირებული 105.6 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.054) თანამესაკუთრებმა - როინ მეტრეველმა (პ/ნ: 01008000684) და ლუიზა მეტრეველმა (პ/ნ: 01008000692) და თანხმობა განაცხადეს აღნიშნული ფართის სანაცვლოდ ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. N102-ში რეგისტრირებული N507 ბინის (ს/კ: N01.11.10.010.033.01.01.507) და ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N2ბ-ში რეგისტრირებული N32 ბინის (ს/კ: 01.14.05.008.154.01.01.032) მიღებაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართის (ს/კ: N01.14.14.003.143.01.054) საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 412156.8 (ოთხას თორმეტი ათას ას ორმოცდათექვსმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარის ოდენობით; N01.11.10.010.033.01.01.507 და N01.14.05.008.154.01.01.032 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა - 226155 (ორას ოცდაექვსი ათას ას ორმოცდათხუთმეტი) ლარის, 175079 (ას სამოცდათხუთმეტი ათას სამოცდაცხრამეტი) ლარის ოდენობით (ჯამურად: 401234 ლარი).

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით აღნიშნულ პირთათვის სიმბოლურ ფასად - 1 ლარად საკუთრებაში გადაცემას და საპრივატიზებო პირობის სახით - მათ ფართზე მათი თანასაკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობას.

მომხრე-6 თავი შეიკავა - ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ნუგზიძის ქუჩა N76-ში არსებული 37.39 უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.03.003.002.01.521) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ნუგზიძის ქუჩა N76, სართული 1 (შენობა N1)-ში არსებული 37.39 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.14.03.003.002.01.521), პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით საკუთრებაში გადაცემა მოქალაქე ფარნაოზ მოწონელიძეს (პ/ნ: 01008027877) , რომელიც შსს-ს და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში (1981 წლიდან) ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქ. თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 023 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.02.001.112) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის N42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებული ცვლილებებით: დემონტაჟის განხორციელების შემთხვევაში, ქონების შემძენი ვალდებულია, დემონტაჟის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, მაგრამ ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სააგენტოს წერილობითი შეტყობინებიდან არაუგვიანეს 3 თვისა, წერილობით მიმართოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მომზადების მოთხოვნით, რომლითაც შეფასებული იქნება, ერთი მხრივ, ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დემონტაჟის მიზნით, ქონების შემძენის მიერ ფაქტობრივად გაწეული ხარჯები და მეორე მხრივ, უძრავ ქონებაზე განთავსებული, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისთვის საჭირო მოძრავი ქონების ფაქტობრივი (საბაზრო) ღირებულება. ამ პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის მომზადება და სააგენტოსთვის წარდგენა ქონების შემძენმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის ამ პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მიმართვიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში, მაგრამ დემონტაჟის დასრულებიდან არაუგვიანეს 7 თვისა.

ასევე, საჯარო რეესტრის მიერ პრივატიზების საგანზე აღნიშნული ვალდებულება გაუქმდება ამ მუხლის 2.1 პუნქტით განსაზღვრული საპრივატიზებო ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, სააგენტოსთვის ქონების შემძენის წერილობითი მიმართვისა და სააგენტოს მიერ ვალდებულების შესრულების დადასტურების შესახებ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.

გარდა ამისა, მე-4 მუხლის 4.10 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პრივატიზების საგანი (ან/და მისი გამიჯვნის შედეგად, ან/და სხვა უძრავ ქონებასთან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი უძრავი ქონება, ან/და ტერიტორიაზე შექმნილი დამოუკიდებელი უფლების ობიექტები) ბრუნდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ხოლო ამ ხელშეკრულების 1.3. პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება უბრუნდება ქონების შემძენს დაბრუნების დროისათვის არსებულ მდგომარეობაში. ამასთან, ქონების შემძენს არ აუნაზღაურდება ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ან/და მისგან გამომდინარე მის მიერ გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება: ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული დემონტაჟის განხორციელების შემთხვევაში, 1.3. პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე მდებარე შენობა-ნაგებობ(ებ)ისა ან/და მოძრავი ქონების ღირებულებას, ასევე, დემონტაჟის ხარჯებს.

მომხრე-6 თავი შეიკავა - ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩა N52-ის მიმდებარედ 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.12.061.005) პირდაპირი განკარგვის წესით ვაჟა აბრამიშვილისთვის (პ/ნ: 01011025268) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, „ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩა N52-ის მიმდებარედ 3 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.17.12.061.005) იჯარით, 5 წლის ვადით გადაეცემა ვაჟა აბრამიშვილს (პ/ნ: 01011025268), აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არსებული კიბის უჯრედის შემდგომი გამოყენების მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირის საკუთრებაშია ქ. თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირი N19-ში მდებარე N 01.17.12.061.001.01.500.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება.

მოთხოვნილი 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის განმეორებით იჯარით გაცემასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქ. თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სასახურს. აღნიშნული სამსახურები არ არიან მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგნი.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 26 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 432 (ოთხას ოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 432 (ოთხას ოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ანტონოვსკაიას ქ. N35ბ-ს მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.15.018.014) პირდაპირი განკარგვის წესით ირინა თაბორიძისთვის (პ/ნ: 01024022247) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, თბილისში, ანტონოვსკაიას ქ. N35ბ-ს მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.10.15.018.014) განმეორებით იჯარით გადაეცემა, 10 წლის ვადით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არსებული კიბის უჯრედის შემდგომი გამოყენების მიზნით. ირინა თაბორიძის საკუთრებაშია ანტონოვსკაიას ქ. N35ბ-ში არსებული ფართი (ს/კ: 01.10.15.018.004.01.003) და აღნიშნული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მიღებული ჰქონდა აღნაგობით, 2023 წლის 23 სექტემბრამდე, კიბის უჯრედის მშენებლობა/მონტაჟის შესაძლებლობით.

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური და სსიპ - ქ. თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არიან მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგნი.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 26 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 432 ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, 5 წლის ვადით, ნაცვლად მოთხოვნილი 10 წლის ვადისა, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 432 ლარის ოდენობით, ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის გაფორმებამდე პერიოდში აღნიშნული უძრავი ქონების ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N75-79-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 1074 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.04.013.051) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ეკატერინე კაჭარავასთვის (პ/ნ: 62001005958) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ვაჟა-ფშაველას გამზ. N75-79-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 1074 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.14.04.013.051) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთი იჯარით გადაეცემა, 30 წლის ვადით, კიბის უჯრედის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ბაქანის და ლიფტის განთავსების მიზნით ეკატერინე კაჭარავა ს(პ/ნ: 62001005958). აღნიშნული პირის საკუთრებაშია ვაჟა-ფშაველას გამზ. N79, III კვ, კორპუს N19-ში არსებული ფართი (ს/კ: N01.14.04.013.003.01.080).

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი, სსიპ - ქ. თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06.12.23წ. N16-0123340689 და 05.02.24წ. N60-01240364004 წერილებით, აღნიშნული სამსახურები არ არიან მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის წინააღმდეგნი.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 წლის ვადით, ნაცვლად - მოთხოვნილი 30 წლისა, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1728 ლარის ოდენობით.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აჩისთვის“ (ს/ნ: 202911055) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის განმეორებით იჯარით გადაეცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 5 (ხუთი) წლის ვადით. კომპანიას იჯარით ჰქონდა გადაცემული 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 5 წლით, სააგენტოს 18.01.19წ. ბ61.011900826 ბრძანებით. შპს „აჩის“ საკუთრებაშია დავით აღმაშენებლის გამზ. N43/თამაზ გამყრელიძის ქ. N2-ში არსებული ფართი (საკადასტრო კოდი: N01.16.05.021.016.01.002).

დაინტერესებაში არსებულ 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილ იქნა სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილი, რომლის თანახმად, ეს სამსახური ღია კაფეს განთავსების წინააღმდეგი არ არის იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსება 5 მეტრის სიგანის მქონე მონაკვეთის მიღმა.

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისის მერიამი მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება (დოკუმენტი N6862407), რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხს.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის აღნიშნული კომპანიისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 5520 ლარის ოდენობით, ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის გაფორმებამდე პერიოდში აღნიშნული უძრავი ქონების ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით (ფაქტობრივი სარგებლობის დადასტურების შემთხვევაში).

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით თამაზ გოგობერიძისთვის (პ/ნ: 01006003711) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.16.05.032.024) 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთი იჯარით გადაეცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 3 (სამი) წლის ვადით. აღნიშნული პირის საკუთრებაშია დავით აღმაშენებლის გამზ. N22/რომის ქ. N3-ში არსებული ფართი (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.001.01.533).

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისის მერიამი მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება (დოკუმენტი N6781616), რომლითაც უარი ეთქვა იჯარით გადაცემის საკითხს შემდეგი რეკომენდაციით: განთავსდეს მხოლოდ მაგიდები, სკამები და ქოლგები, ბარიერების (ქოთნების) გარეშე.

თამაზ გოგობერიძის, სააგენტოს წერილით ეცნობა აღნიშნული ორგანოების პოზიცია და რეკომენდაცია.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 9 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 2640 ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის აღნიშნული პირისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 3 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 2640 ლარის ოდენობით.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, მამია გურიელის ქ. N5ა-ში მდებარე ფართების (ს/კ: 01.14.15.001.300.03.03.005ა; 01.14.15.001.300.03.03.518) პირდაპირი განკარგვის წესით ა.ა.ი.პ - ეკო სოკოსთვის (ს/ნ: 427726348) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, „ქ.თბილისში, მამია გურიელის ქ. N5ა-ში მდებარე ფართების (ს/კ: 01.14.15.001.300.03.03.005ა; 01.14.15.001.300.03.03.518) პირდაპირი განკარგვის წესით ა.ა.ი.პ - ეკო სოკოსთვის (ს/ნ: 427726348) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 29 სექტემბრის N21.1367.1525 განკარგულებისა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 ნოემბრის N473 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 9 ნოემბრის Nბ61.01213132 ბრძანების შესაბამისად, ასოციაციას პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადაეცა ქ. თბილისში, მამია გურიელის ქ. N5ა-ს მე-4 სართულზე (ნიშნული: +9.90) არსებული 36.1 კვ.მ. ფართობის ბინა N5 (ს/კ: 01.14.15.001.300.03.03.518) და 36.2 კვ.მ. ფართობის ბინა N5ა (ს/კ: 01.14.15.001.300.03.03.005ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პროფესიული საქმიანობის შესწავლის და დასაქმების მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს წლის 2024 წლის 6 თებერვლის განცხადებით მიმართა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ეკო სოკოს (ს/ნ: 427726348) წარმომადგენელმა და ითხოვა N01.14.15.001.300.03.03.005ა; N01.14.15.001.300.03.03.518 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების განმეორებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.

აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობიდან გამომდინარე, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი N01.14.15.001.300.03.03.005ა; N01.14.15.001.300.03.03.518 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართების აღნიშნული ორგანიზაციისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა, 2 (ორი) წლის ვადით და ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე საკითხით უზუფრუქტის გაფორმებამდე პერიოდში ორგანიზაციის მიერ ფართის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის მოთხოვნაზე უარის საკითხი, თბილისის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, N01.17.02.001.680 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 57 573 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „კომპანია ჯაოკენი ბილდინგისთვის“ (ს/ნ 404566947), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 დეკემბრის N23.2183.2434 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2023 წლის 28 დეკემბრიდან 2024 წლის 26 იანვრის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქალაქ თბილისში, ისნის N01.17.02.001.680 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 57 573 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვრა არაუმეტეს 2.2-ით, ხოლო ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე სუბიექტების მიერ გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - **12 700 კვ.მ-თ.** ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „კომპანია ჯაოკენი ბილდინგ“ (ს/ნ: 404566947, რომელმაც წარმოადგინა შემდეგი საინვესტიციო წინადადება, ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო პროექტიდან სააგენტოსთვის / კოოპერატივის წევრებისთვის / სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირებისთვის გადასაცემი სამშენებლო ფართი - **12 800 კვ. მ ოდენობით** (თეთრი

კარკასის მდგომარეობით), სს „საქართველოს ბანკის“ (ს/ნ: 204378869) 2024 წლის 23 იანვრის თარიღით გაცემული ხელშეკრულების შესრულების უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია (# PE1067420-24) - 7 000 000 (შვიდი მილიონი) ლარის ოდენობით.

მომხსენებლის განმარტებით, კომპანიამ დაიწყო შესაბამისი წინასამშენებლო, ე.წ. მოსამზადებელი სამუშაოების წარმოება, მათ შორის, მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა. ამ მიზნით, ჩატარებულ იქნა და სააგენტოს წარედგინა სამი სხვადასხვა საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული დასკვნა. ყველა ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგად, მიწის ნაკვეთზე მშენებლობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, დაფიქსირებული იყო უარყოფითი პოზიციები და სამივე შემთხვევაში, მკაფიო დასკვნაა, რომ ვინაიდან ტერიტორია წარმოადგენს არასტაბილურ ფერდობს, კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობა დაუშვებელია, მშენებლობა რეკომენდებული არ არის და არსებულ საპროექტო ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების დაგეგმარება – წარმართვა მიზანშეწონილი არ არის და ძლიერ სარისკოა.

შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის N23.1451.1618 განკარგულებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ხსენებული კომპანიისთვის ალტერნატიული მიწის ნაკვეთის (კერძოდ: ქ. თბილისში, ისნის რაიონში მდებარე N01.17.02.001.680 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 57 573 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის) გადაცემის თაობაზე, N01.72.14.005.681 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე გამოცხადებული ინტერესთა გამოსატვის პირობებით. თუმცა, ვინაიდან, N01.17.02.001.680 მიწის ნაკვეთზე, კონკურენტული შერჩევის პრინციპიდან გამომდინარე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 დეკემბრის N23.2183.2434 განკარგულების გათვალისწინებით, გამოცხადდა ინტერესთა გამოსატვა. ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 13 თებერვლის N01-01240393601 წერილით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეთხოვა, რომ აღარ განეხილა წარდგენილი საკითხი.

მოცემულ შემთხვევაში, წინამდებარე განკარგულების დანართებში მითითებული კოოპერატივის წევრებიდან 164 (ას სამოცდაათხი) პირი წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის N23.1451.1618 განკარგულებით გათვალისწინებულ პირს, რომელთა სიის ფორმირება, აღნიშნული განკარგულების გამოცემის დროისათვის, განხორციელდა სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. ხოლო 4 (ოთხი) პირი დაემატა კომპანიის მიერ ბოლო ინტერესთა გამოსატვის ფარგლებში შემოთავაზებული დამატებითი ფართობის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი პროექტით განიხილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანხმობის მიცემა ქ. თბილისში, ისნის რაიონში N01.17.02.001.680 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჯამურად - 57 573 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთების, ამ განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრულ პირთათვის და შპს „კომპანია ჯაოკენი ბილდინგის“ (ს/ნ: 404566947) სიმბოლურ თანხად - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 7 მარტის N24.383.429 განკარგულების დანართი N2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მომხრე-6 თავი შეიკავა - ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „არეა დეველოპმენტს“ (ს/ნ: 405476872) შორის 2022 წლის 3 აგვისტოს გაფორმებული „ქ. თბილისში, ნუგუბიძის ფერდობზე, IV მიკრო/რაიონის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.14.01.001.423 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 17173 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „არეა დეველოპმენტის“ (დღეის მდგომარეობით - შპს „დეკა ლისი“ - ს/ნ: 405476872) გათავისუფლების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022

წლის 28 ივნისის N22.968.1072 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის N324 განკარგულებების საფუძველზე, განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არეა დეველოპმენტისთვის“ (ს/ნ: 405476872) განხორციელდა ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრო/რაიონის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.14.01.001.423 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 17173 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

ზემოაღნიშნული განკარგულებების საფუძველზე, 2022 წლის 3 აგვისტოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს , ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და კომპანიას შორის გაფორმდა „ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრო/რაიონის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.14.01.001.423 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 17173 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება. ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები. მათ შორის:

კომპანია ვალდებულია ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ვადებში, შესაბამისი სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე განახორციელოს საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების მშენებლობა და შესაბამისი ინდივიდუალური ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, ამ ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ შესაბამის პირებს გადასცეს საკუთრების უფლება ამ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ინდივიდუალურ ფართებზე, შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში. (ხელშეკრულების 3.1. პუნქტი) ;

კომპანია ვალდებულია სამშენებლო პროექტი განახორციელოს 3 ლოტად (3 შენობა-ნაგებობად). კომპანია ვალდებულია პირველი ლოტის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მოპოვება უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადაში, მეორე ლოტის - არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან - 1 (ერთი) წლისა 6 (ექვსი) თვის ვადაში, ხოლო მესამე ლოტის - არაუგვიანეს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან - 3 (სამი) წლის ვადაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. (ხელშეკრულების 3.4 პუნქტი) ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულების 6.1.1. პუნქტის თანახმად, ინტერესთა გამოხატვაში წარდგენილი წინადადების, ამ ხელშეკრულების გაფორმების და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ნაკისრი ვალდებულებების (კერძოდ, სამშენებლო ნებართვ(ებ)ის მოპოვების, ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე შესაბამის პირთა საკუთრების უფლების რეგისტრაციისა და ამ ვალდებულებების შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადამდე შესასრულებელი ყველა სხვა ვალდებულების) შესრულების უზრუნველსაყოფად, კომპანიამ სააგენტოს სასარგებლოდ წარმოადგინა 700 000 (შვიდასი ათასი) ლარის ოდენობის (სს „თბილისი ბანკის“ - ს/ნ: 204854595 მიერ 2021 წლის 25 აგვისტოს თარიღით გაცემული საბანკო გარანტია N7519423-11548234) უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია.

ამავე ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის მიხედვით განისაზღვრა შემდეგი: „იმ შემთხვევაში, თუ კომპანია დაარღვევს საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულებების შესრულების ვადას, მას დაეკისრება სააგენტოსთვის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება ხელშეკრულების 6.1.1 ქვეპუნქტში მითითებული საბანკო გარანტიის ჯამური ოდენობის 0,1 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე“.

ვინაიდან სამშენებლო ნებართვის მოპოვებისათვის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ბოლო დღიდან (2023 წლის 3 თებერვლიდან) სამშენებლო ნებართვის ფაქტობრივად მიღებამდე (2023 წლის 13 ივნისამდე) გასულია 129 (ასოცდაცხრა) დღე, პირგასამტეხლოს ოდენობაა 90 300 (ოთხმოცდაათი ათას სამასი) ლარი. ამასთანავე, ხელშეკრულების შესაბამისად, სამშენებლო ნებართვ(ებ)ის საფუძველზე კომპანიას ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების რეგისტრაციის (ე.წ „განშლა“) გზით, შესაბამის ფართებზე კოოპერატივის წევრების საკუთრების უფლების რეგისტრაცია უნდა განხორციელებინა შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან, მოცემულ შემთხვევაში, 2023 წლის 13 ივნისიდან - არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში ანუ არაუგვიანეს 2023 წლის 13 აგვისტოს ჩათვლით. შესაბამისად, 2023 წლის 14 აგვისტოდან 2023 წლის 26 დეკემბრამდე (ე.წ. ცალკეულ ინდივიდუალურ ფართებზე კოოპერატივის წევრების საკუთრების უფლების რეგისტრაციის, ამონაწერების ფაქტობრივი მდგომარეობით დასრულებამდე) გასულია 134 (ას ოცდაოთხმეტი) დღე, რისთვისაც კომპანიისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 93 800 (ოთხმოცდაცამეტი ათას რვაასი) ლარს, შესაბამისად, ორივე ვალდებულების დარღვევისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ჯამურად - 184 100 (ას ოთხმოცდაოთხი ათას ასი) ლარით.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, კომპანიამ, 2023 წლის 7 დეკემბრს, 2023 წლის 27 დეკემბრს და 2024 წლის 15 იანვარს განცხადებებით სააგენტოს მომართა ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს პატიების მოთხოვნით. კომპანიის განმარტებით, ვალდებულებების შესრულება შეაფერხა ფაქტობრივმა გარემოებებმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 6 მარტის №24.360.408 განკარგულების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ხელშეკრულების 3.1. და 3.4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის შესაბამისად დასაკისრებული პირგასამტეხლოსგან, შპს „არეა დეველოპმენტის“ (დღეის მდგომარეობით - შპს „დეკა ლისი“ - ს/ნ: 405476872) გათავისუფლება.

მომხრე-6 თავი შეიკავა - ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დიდი დიდმის დასახლების II მიკრორაიონის კორპუსი N27ა-ს მიმდებარედ, N01.10.06.006.352 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3605 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტისათვის“ (ს/ნ: 404438649), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით 2023 წლის 30 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიდომი, მიკრო/რაიონი II, კორპუსი N27ა-ს მიმდებარედ, N01.10.06.006.352 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3605 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საბინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვრა არაუმეტეს 2.8-ით, ხოლო ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე სუბიექტების მიერ გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - 1050 კვ. მ.

აღნიშნული ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განაცხადების წარმოდგენისათვის განსაზღვრულ ვადაში სააგენტოში წარმოდგენილ იქნა 2 (ორი) დაინტერესებული სუბიექტის განცხადება, ამასთან, შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტის“ (ს/ნ: 404438649) მიერ წარმოდგენილი საინვესტიციო წინადადება, ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო პროექტიდან სააგენტოსთვის / კოოპერატივის წევრებისთვის / სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირობებისთვის გადასაცემი სამშენებლო ფართი - **1950 კვ.მ ოდენობით** (თეთრი კარკასის მდგომარეობით) - უპირატესი იყო სხვა დაინტერესებული სუბიექტის მიერ წარმოდგენილ წინადადებასთან მიმართებით, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტი“ (ს/ნ: 404438649).

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით, სააგენტოში ამოიწურა იმ კოოპერატივის წევრთა სია, ვისაც მიმართული აქვს, თანახმაა შეთავაზებული პროექტებიდან დაკმაყოფილებაზე და სხვა საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად, წარდგენილი აქვს სარეიტინგო ქულის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტი. შესაბამისად, მოცემულ პროექტში, პირთა ნაწილი შერჩეულ იქნა სარეიტინგო ქულის გათვალისწინებით, ხოლო იმ პირთა შორის, ვისაც არ აქვს წარდგენილი სარეიტინგო ქულა, მაგრამ წარდგენილი ჰქონდა სხვა ყველა საჭირო დოკუმენტი, უპირატესობა მიენიჭა ტერიტორიულობის პრინციპით ყველაზე ახლოს მყოფს კოოპერატივის წევრებს. ამასთან, მას შემდეგ რაც ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით ამოიწურა სრულყოფილი დოკუმენტაციის მქონე კოოპერატივის წევრთა რაოდენობა, გადასაცემი ფართის სრულად ათვისების მიზნით სააგენტოს მიერ პროექტში გათვალისწინებულ იქნენ კოოპერატივის ის წევრები, რომლებსაც სიის ფორმირების ეტაპზე წარმოდგენილი ჰქონდათ შესაბამისი დოკუმენტაცია სრულად. ჯამურად, აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა კოოპერატივის 25 (ოცდახუთი) წევრის დაკმაყოფილებას.

წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანხმობას აცხადებს, "ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღმის დასახლების II მიკრორაიონის კორპუსი N27ა-ს მიმდებარედ, N01.10.06.006.352 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3605 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ამ განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრულ პირთათვის და შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტისათვის“ (ს/ნ: 404438649), სიმბოლურ თანხად - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 12 მარტის N34.392.447 განკარგულების დანართი N2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მომხრე-6 თავი შეიკავა -ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და შპს „სასკოს“ (ს/ნ. 205045636) შორის 2008 წლის 18 იანვარს გაფორმებულ „უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და შპს „სასკოს“ (ს/კ: 205045636) (უფლებამონაცვლე: ფ/პ კახაბერ ჩიბიროვ (პასპორტის №75 1945544, რუსეთი) შორის 2008 წლის 18 იანვარს გაფორმდა „უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულება“ (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით), რომლის საფუძველზეც შპს „სასკოს“ საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების პირობით, საკუთრებაში გადაეცა შემდეგი უძრავი ქონება:

ბ. ხმელნიცის ქუჩა №181-ში მდებარე 4869 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (ს/კ: 01.19.35.007.111);

ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №185-185ა-ში მდებარე 3670 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.19.35.007.113);

აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №57-ში მდებარე 3222 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.13.03.010.064).

ხელშეკრულებით მყიდველმა იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის, ქ. თბილისში, ბ. ხმელნიცის ქუჩა №181-ში მდებარე საპრივატიზებო სპორტული ობიექტის რეაბილიტაცია და აღჭურვა და მასზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპორტული პროფილის შენარჩუნება 10 (ათი) წლის განმავლობაში.

„ქალაქ თბილისის მერიასა და შპს „სასკოს“ შორის 2008 წლის 18 იანვარს გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, შპს „სასკოსათვის“ გადაცემულ ქონებაზე იპოთეკის მოხსნისა და სს „თიბისი ბანკის“ მიერ გაცემული №931773-1033559 საბანკო გარანტიის დაბრუნების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №08.39.419 განკარგულებით დადასტურდა შპს „სასკოს“ მიერ სპორტული ობიექტის რეაბილიტაცია/აღჭურვის ვალდებულების შესრულება და №01.13.03.010.064 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი გახდა მისი მესაკუთრის უპირობო საკუთრება.

2020 წლის ხარეთა (ხელშეკრულების იმდროინდელი მხარე: შპს „ფიტნეს 31“, ს/კ: 404477464) შორის შედგა შეთანხმება, ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. დამატებითი შეთანხმებით მყიდველმა იკისრა ვალდებულება, განეხორციელებინა დამატებით 300 000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია, აღნიშნული შეთანხმების დადებიდან 2 (ორი) წლის ვადაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საპრივატიზებო ობიექტებზე დანართი №1-ით გათვალისწინებული სპორტული ინფრასტრუქტურის გაუჯობესების/განვითარების და დამატებით აღჭურვის მიზნით. ამასთან, მყიდველმა იკისრა ვალდებულება, გამყიდველისთვის ეცნობებინა და მასთან შეთანხმებინა ინვესტიციის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები (რაც მოიცავს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას/განვითარებას და აღჭურვას), მათი სავარაუდო საინვესტიციო ღირებულება და შესრულების ვადები (გეგმა-გრაფიკი).

დამატებითი შეთანხმების შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ სპორტული პროფილის შენარჩუნების პირობა, ნაცვლად 10 წლისა, განისაზღვრება მუდმივი ვალდებულების (განუსაზღვრელი ვადით) სახით, ბ. ხმელნიცის ქუჩა №181-ში მდებარე №01.19.35.007.111 საკადასტრო კოდით არსებულ 4869 კვ.მ. მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე.

ამასთან, აღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული №01.19.35.007.113 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი გათავისუფლდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობისგან და გახდა მისი მესაკუთრის უპირობო საკუთრება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 13 ოქტომბრის №21.1419.1599 განკარგულებით მყიდველს დაუდასტურდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საპრივატიზებო ობიექტებზე დანართი №1-ით

გათვალისწინებული სპორტული ინფრასტრუქტურის გაუჯობების/განვითარების და დამატებით აღჭურვის მიზნით, დამატებით 300 000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელების თაობაზე დამატებითი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. შესაბამისად, შესასრულებელი დარჩა №01.19.35.007.111 საკადასტრო კოდით არსებული უძრავი ქონების მუდმივი საპრივატიზებო პირობა - სპორტული ობიექტის მუდმივად ფუნქციონირების თაობაზე.

2023 წლის 31 იანვარის №19/01230313589-61 განცხადების, „ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და შპს „სასკოს“ (ს/ნ 205045636) შორის 2008 წლის 18 იანვარს გაფორმებულ „უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 17 მაისის №23.668.773 და „ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და შპს „სასკოს“ (ს/ნ. 205045636) შორის 2008 წლის 18 იანვარს გაფორმებულ „უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №185 განკარგულებების საფუძველზე, 2023 წლის 24 მაისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და მყიდველს შორის გაფორმდა შეთანხმება აღნიშნული შეთანხმება ითვალისწინებდა ხელშეკრულებითა და დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების ცვლილებას, კერძოდ: №01.19.35.007.111 საკადასტრო კოდით არსებული უძრავი ქონების ნაწილზე, 2020 წლის 10 აპრილის დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული შეზღუდვის (სპორტული პროფილის მუდმივად შენარჩუნება) მოხსნას იმ პირობით, რომ:

ა) შესაკუთრე გადაიხდის №01.19.35.007.111 საკადასტრო კოდით არსებული უძრავი ქონების შეზღუდვის გარეშე და შეზღუდვის გათვალისწინებით დადგენილ ფასთა შორის სხვაობას - 1 098 330 (ერთი მილიონ ოთხმოცდათვრამეტი ათას სამას ოცდაათი) ლარს (შემდგომში: **დამატებითი საპრივატიზებო საფასური**), რომელიც დათვლილია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 21 მარტის №001621523 და 2023 წლის 19 აპრილის №002580723 დასკვნებით;

ბ) №01.19.35.007.111 საკადასტრო კოდით არსებულ უძრავ ქონებაზე მყიდველი მოაწყობს ახალ სპორტულ ობიექტს (ზომით არსებულზე 50%-ით დიდს), რომელზეც მოაწყობს და შეინარჩუნებს შემდეგ სპორტულ ინფრასტრუქტურას:

ორი დახურული საცურაო აუზი (ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის)

ორტატამიანი ძიულოს დარბაზი;

ტრენაჟორების დარბაზი არანაკლებ 15 სხვადასხვა სახის ტრენაჟორით;

ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების დარბაზი.

გ) შესაკუთრე, ახალი სპორტული კომპლექსის მშენებლობისათვის განახორციელებს 2 100 000 (ორი მილიონ ასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციას;

დ) ახალი სპორტულ კომპლექსის შესაბამისი ფართები გამოყენებული იქნება მხოლოდ სპორტული მიზნით/ფუნქციით;

ე) ცვლილების შედეგად, შესაკუთრეს მიეცემა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სპორტულთან ერთად საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის შესაძლებლობა;

ვ) ახალი სპორტული კომპლექსის მოწყობის ვალდებულების შესრულებამდე მყიდველი უფლებამოსილი იქნება ვალდებულებების გარეშე გაასხვისოს საცხოვრებელი კომპლექსის ფართების 50%;

ზ) სპორტული კომპლექსის მოწყობის ვალდებულების შესრულების შემდგომ, სპორტული ობიექტის შესაბამის ფართ(ებ)ის გარდა, №01.19.35.007.111 საკადასტრო კოდით არსებული უძრავი ქონების სხვა ნაწილი თავისუფლდება საპრივატიზებო პირობებისგან.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ დამატებითი საპრივატიზებო საფასურის თანხა დაანგარიშებულია №01.19.35.007.111 საკადასტრო კოდით არსებული უძრავი ქონების ვალდებულებებისგან სრულად გათავისუფლების შემთხვევაში არსებული ოდენობით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქონების გარკვეულ ნაწილზე სპორტული პროფილის შენარჩუნების ვალდებულება რჩება მუდმივად.

წინა შეთანხმების სრულად ძალაში შესვლის წინაპირობას წარმოადგენდა დამატებითი საპრივატიზებო საფასურის შესაბამის ვადებში (3 თვის ვადაში) გადახდა. აღნიშნული თანხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის გამო, წინა შეთანხმება სრულად ძალაში არ შევიდა. ასევე, შეთანხმების შესაბამისი პირობების გათვალისწინებით, 2023 წლის 23 სექტემბერს ძალა დაკარგა წინა შეთანხმების ძალაში შესულმა შესაბამისმა პუნქტებმაც. ხოლო აღნიშნულ თარიღამდე (23.09.2023 წლამდე), დამატებითი საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის მყიდველს დაეკისრა პირგასამტეხლო 32 949.90 (ოცდათორმეტი ათას ცხრაას ორმოცდაცხრა და ოთხმოცდაათი მეთასედი) ლარის ოდენობით.

2024 წლის 05 თებერვლის №19/01240363762-61 განცხადებით სააგენტოს მომართა მყიდველმა და მოითხოვა წინა შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების ანალოგიური პირობებით, ახალი შეთანხმების გაფორმება. ამასთან, მყიდველმა სრულად გადაიხადა წინა შეთანხმებით გათვალისწინებული დამატებითი საპრივატიზებო საფასურის თანხა და დაკისრებული პირგასამტეხლო.

ამასთან, შესაბამისი შეთანხმების გაფორმებიდან (ძალაში შესვლიდან) მშენებლობის ნებართვის აღებისთვის გათვალისწინებული ვადის შემცირების შედეგად, წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის მიხედვით, შესაბამისი სამშენებლო პროექტის განხორციელების საბოლოო ვადები დარჩება არსებითად უცვლელი.

მომხრე-6 თავი შეიკავა -ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულს შორის, 2015 წლის 7 ივლისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №----53-15674 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის ცვლილების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და დავით გვარამაძეს (პ/ნ: 01009004518) შორის 2015 წლის 7 ივლისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №----53-15674 ხელშეკრულების საფუძველზე, აუქციონში გამარჯვებულს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ლისის ტბის და ვაშლიჯვარს შორის, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებული 3282 კვ.მ მიწის ნაკვეთი - ს/კ N01.10.18.011.043.

ხელშეკრულების „ბ“ პუნქტის თანახმად, მითითებული ქონების განკარგვა განხორციელდა შემდეგი სააუქციონო პირობით - „საპროექტო ობიექტის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) შესაბამისი განვითარება, რომლის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 15 მეტრს“.

დღევანდელი მდგომარეობით, N01.10.18.011.043 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან გაერთიანების შედეგად, ფორმირებულია N01.10.18.011.068 საკადასტრო ერთეული და წარმოადგენს შპს „ალიანს ლისის“ (ს/ნ: 405264002) საკუთრებას.

მყიდველმა, 2024 წლის 1 მარტს განცხადებით მომართა სააგენტოს და მოითხოვა, N01.10.18.011.043 საკადასტრო ერთეულზე არსებული აუქციონის პირობის ცვლილება და ახალი პირობის განსაზღვრა შემდეგნაირად - „საპროექტო ობიექტის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის შესაბამისი განვითარება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით (კ2) არაუმეტეს 4.0-სა, რომლის სიმაღლე მაჭავარიანის ქუჩიდან არ უნდა აღემატებოდეს 15 მეტრს“.

თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 5 მარტის წერილის თანახმად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად იქნა მიჩნეული N01.10.18.011.043 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (დღევანდელი მდგომარეობით ფორმირებული ს/კ N01.10.18.011.068) არსებული აუქციონის პირობის მოთხოვნილი სახით ცვლილება.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 4 მარტის დასკვნის შესაბამისად, 2015 წლის 7 ივლისის აუქციონზე შეძენილი N01.10.18.011.043 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მთლიან საბაზრო ღირებულებასა (599 621 ლარი) და აუქციონის დროისთვის, ამავე მიწის ნაკვეთზე ახალი პირობის - „საპროექტო ობიექტის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის შესაბამისი განვითარება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით (კ2) არაუმეტეს 4.0-სა, რომლის სიმაღლე მაჭავარიანის ქუჩიდან არ უნდა აღემატებოდეს 15 მეტრს“ გათვალისწინებით დადგენილ ღირებულებას (685 938 ლარი) შორის სხვაობის დღევანდელი მდგომარეობით დაანგარიშებული თანხა შეადგენს - **134 895 (ას ოცდაათოთხმეტი ათას რვაას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარს.** რის გადახდაზეც მყიდველმა განაცხადა თანხმობა.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, N01.10.18.011.043 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (დღევანდელი მდგომარეობით ფორმირებული ს/კ N01.10.18.011.068) ხორციელდება აუქციონის პირობის ცვლილება შემდეგი სახით - „საპროექტო ობიექტის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის შესაბამისი განვითარება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით (კ2) არაუმეტეს 4.0-სა, რომლის სიმაღლე მაჭავარიანის ქუჩიდან არ უნდა აღემატებოდეს 15 მეტრს“, იმ პირობით, რომ ამ განკარგულების აღსრულების მიზნით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის (ბრძანება) გამოცემიდან

არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მყიდველი სრულად გადაიხდის სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 4 მარტის N001416924 დასკვნით დადგენილ ფასთა შორის სხვაობას, **ჯამურად - 134 895 (ას ოცდაათოთხმეტი ათას რვაას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით.**

მომხრე-6 თავი შეიკავა -ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ნექსუს“ (ს/ნ: 405263646; უფლებამონაცვლე: შპს „ილიარდი“ (ს/ნ: 205278386)) შორის 2020 წლის 05 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-548-1-25622 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ნექსუს“ (ს/ნ: 405263646; უფლებამონაცვლე: შპს „ილიარდი“ ს/ნ: 205278386) შორის გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-548-1-25622 ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე მდებარე 448 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.14.14.002.156). ქონების განკარგვა განხორციელდა შემდეგი პირობებით - „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“ და „მიწის ნაკვეთის განვითარება განხორციელდეს მხოლოდ სარეკრეაციო პირობით“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქონების შესაბამისად, მყიდველის მხარეს ხელშეკრულებაში დღეისათვის წარმოადგენს აღნიშნული კომპანია. ამასთან, ქონება სხვა მიწის ნაკვეთებთან გაერთიანების შედეგად, დღეისათვის რეგისტრირებულია №01.14.14.002.116 საკადასტრო ერთეულის სახით, მისამართზე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის №39 ა.

მყიდველმა 2023 წლის 29 დეკემბრის და 2024 წლის 31 იანვრის განცხადებებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა ქონებაზე არსებული შეზღუდვის („მიწის ნაკვეთის განვითარება განხორციელდეს მხოლოდ სარეკრეაციო პირობით“) გაუქმება.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 12 თებერვლის №5000791924 დასკვნის შესაბამისად, ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურსა (717 093 (შვიდას ჩვიდმეტი ათას ოთხმოცდაცამეტი) ლარი) და აუქციონის დროისათვის ამავე მიწის ნაკვეთის შეზღუდვისგან - „მიწის ნაკვეთის განვითარება განხორციელდეს მხოლოდ სარეკრეაციო პირობით“ - თავისუფალ მდგომარეობაში ღირებულებებს შორის სხვაობის დღევანდელი მდგომარეობით დაანგარიშებული თანხა შეადგენს 390 777 (სამას ოთხმოცდაათი ათას შვიდას სამოცდაჩვიდმეტი) ლარს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ნექსუს“ (ს/ნ 405263646; უფლებამონაცვლე: შპს „ილიარდი“ (ს/ნ: 205278386)) შორის, 2020 წლის 05 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-548-1-25622 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 13 მარტის №24.407.453 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს 2020 წლის 05 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-548-1-25622 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის - „მიწის ნაკვეთის განვითარება განხორციელდეს მხოლოდ სარეკრეაციო პირობით“ გაუქმებას.

აღნიშნული ცვლილება ხორციელდება იმ პირობით, რომ სააგენტოს მიერ ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში მყიდველი უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 390 777 ლარის გადახდას.

მომხრე-6 თავი შეიკავა -ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ პირობებით გამოცხადებული აუქციონის საფუძველზე 2019 წლის 14 ნოემბერს გაფორმებული №ე-492-6-24304 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „რეალთი ავლაბარს“ (ს/ნ 405012864; უფლებამონაცვლე ლელა მამაცაშვილი, პ/ნ 35001016905) შორის, 2019 წლის 14 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-492-6-24304 ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველს აუქციონის წესით, საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ბაგების სატყეო უბანში მდებარე 965 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.14.08.011.187; შემდგომში - ქონება). ქონების განკარგვა განხორციელდა შემდეგი პირობით - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში“ და შეზღუდვით - „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“.

2023 წლის 24 აპრილს განხორციელდა №01.14.08.011.187 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გაერთიანება მომიჯნავე საკადასტრო ერთეულებთან, რის შედეგადაც, უძრავ ქონებას მიენიჭა ახალი საკადასტრო კოდი - №01.14.08.011.231.

სააგენტოს 2023 წლის 26 ივნისის №QN1972104 გადაწყვეტილების საფუძველზე, №01.14.08.011.187 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 965 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მოიხსნა შეზღუდვა - „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“.

მყიდველის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა №01.14.08.011.187 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (დღევანდელი მდგომარეობით ს/კ 01.14.08.011.231) არსებული პირობის - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში“ - გაუქმება. აღნიშნული მოთხოვნის საფუძველად, განმცხადებელმა წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 13 დეკემბრის წერილი, რომლის თანახმადაც, №01.14.08.011.231 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (8655 კვ.მ) სამშენებლოდ განვითარება, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების გარეშე, შესაძლებელია განხორციელდეს თუ ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება ხორციელდება ერთეული ობიექტის (დამხმარე შენობა-ნაგებობებით ან მის გარეშე) განთავსების მიზნით (გარდა მრავალბინიანი ფუნქციის შემცველი ობიექტებისა), ასევე, ტერიტორია უზრუნველყოფილია სათანადო სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურით და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება არ წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის დაგეგმარების ერთადერთ შესაძლებლობას.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, განმეორებით ეთხოვა პოზიცია ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და სააგენტოში წარმოდგენილი კორესპონდენციის თანახმად, შესაძლებლად იქნა მიჩნეული №01.14.08.011.231 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული პირობის - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში“ გაუქმება და მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად განვითარება.

ექსპერტიზის ბიუროს მიერ 2019 წლის 7 ოქტომბერს მომზადებული №006995619 დასკვნის თანახმად, ვინაიდან უცნობია მიწის ნაკვეთთან მიმართებაში კონკრეტულად რას გულისხმობს დამკვეთის მიერ მიწოდებული პირობა: „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში“, ექსპერტების მიერ არ იქნა გათვალისწინებული და მიწის ნაკვეთი შეფასდა არსებული ფუნქციური ზონის გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ პირობებით გამოცხადებული აუქციონის საფუძველზე 2019 წლის 14 ნოემბერს გაფორმებული №ე-492-6-24304 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 14 მარტის №24.428.478 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს 2019 წლის 14 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-492-6-24304 ხელშეკრულების „გ“ პუნქტით გათვალისწინებული პირობის - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში“ - გაუქმებას.

მომხრე-6 თავი შეიკავა -ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერტის“ (ს/ნ. 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, ქალაქ თბილისში, თ. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.16.03.058.062) განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის განსაზღვრის საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2021 წლის 23 აპრილს გაცემული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-582-1-26243 ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება) საფუძველზე, სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს (ს/კ: 402010701) (უფლებამონაცვლე: შპს „ალფა ფროფერტი“, ს/კ: 404605094,) შორის 2021 წლის 29 აპრილს დაიდო „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულება“, რომლითაც მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, თ. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე 26 132 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (№1-დან №13-ის ჩათვლით) (მიწის ნაკვეთის ს/კ: 01.16.03.058.062) , ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით. აუქციონის შედეგების შესაბამისად, საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 1 526 632) ლარის ოდენობით, რაც მყიდველის მიერ გადახდილია.

სააგენტოსა და მყიდველს შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმდა შეთანხმება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს (ს/კ: 402010701) შორის 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ , რომლითაც ხელშეკრულებაში შევიდა რიგი ცვლილებები და დამატებები.

ხელშეკრულებითა და შეთანხმებით მყიდველის ვალდებულებად განისაზღვრა პრივატიზებულ ქონებაზე არანაკლებ 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის, უფლებრივად უნაკლო, თეთრი კარკასის მდგომარეობაში, მშენებლობადასრულებულ შენობა-ნაგებობაში გადაცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის ან მის მიერ განსაზღვრული შესაბამისი პირობისათვის, არაუგვიანეს 2025 წლის 29 აპრილისა, ხელშეკრულებითა და შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

პრივატიზებულ ქონებაზე დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა „ქალაქ თბილისში, თ. კაპანაძის ქუჩა №4, პალიასტომის ქუჩის მოპირდაპირედ, პალიასტომის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.16.03.058.062; №01.16.03.058.061) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №440 განკარგულებით. განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, პრივატიზებული ქონება დაიყო №01.16.03.058.076, №01.16.03.058.077, №01.16.03.058.078, №01.16.03.058.079, №01.16.03.058.080, №01.16.03.058.081, №01.16.03.058.082 და №01.16.03.058.083 საკადასტრო ერთეულებად. ამასთან, განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა დაგეგმილია მხოლოდ №01.16.03.058.080, №01.16.03.058.081, №01.16.03.058.082 და №01.16.03.058.083 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (თითოეული საკადასტრო ერთეული შემდგომში მოხსენიებულია, როგორც: **ლოტი**, ხოლო ერთად: **ლოტები**), №01.16.03.058.078 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე კი გათვალისწინებულია სასტუმროს მშენებლობა და აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობის განთავსება დაგეგმილი არ არის. შესაბამისად, შეთანხმების პირობების თანახმად, საცხოვრებელი ფართების გადმოცემა უნდა განხორციელდეს ლოტებზე (№01.16.03.058.080, №01.16.03.058.081, №01.16.03.058.082 და №01.16.03.058.083 საკადასტრო ერთეულები) მშენებარე შენობა-ნაგებობებიდან.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ პრივატიზებულ ქონებაზე განაშენიანების რეგულირების გეგმა შემუშავებულია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 27 ნოემბრის №19.1246.1575 განკარგულების საფუძველზე, სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში. აღნიშნული განკარგულების

შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავება განხორციელდა ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში (ს/კ: №01.16.04.048.003) არსებულ ავარიულ (III კატეგორია) შენობაში მცხოვრები მოსახლეობის ალტერნატიული (სანაცვლო) ფართებით დაკმაყოფილების მიზნით და მუნიციპალიტეტის ინტერესების გათვალისწინებით. ამასთან, სააგენტოში წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2021 წლის 25 მარტის №33-01210843519 და 2023 წლის 28 თებერვლის №33-0123059329 კორექსონდენცია, რომელიც ადასტურებს, რომ ხელშეკრულების ფარგლებში შესაბამისი განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული პროექტის განხორციელება ემსახურება ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში (ს/კ: №01.16.04.048.003) მდებარე მიწის ნაკვეთსა და პრივატიზებულ ქონებაზე არსებული შენობა-ნაგებობების მაცხოვრებლების დაკმაყოფილების მიზანს.

შესაბამისად, ხელშეკრულებითა და შეთანხმებით გათვალისწინებული გადმოსაცემი 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის ნაწილის საბოლოო მიმღებ პირებად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან ერთად, მოიაზრება: ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში მდებარე №01.16.04.048.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრეები, ასევე პირები, რომელთაც, თვითნებურად/საკუთრების უფლების რეგისტრაციის გარეშე/ფაქტობრივად აქვთ დაკავებული საცხოვრებელი ფართები პრივატიზებულ ქონებასა და ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში მდებარე №01.16.04.048.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებში. აღნიშნულ პირთა მონაცემები, მათ საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული და მათთვის გადასაცემი ფართები საჭიროებს დაზუსტებას, რის გამოც, შეთანხმების პირობების თანახმად, აღნიშნულ პირთა სია და მათ მიერ მისაღები ფართების მონაცემების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია სააგენტოს მიერ მყიდველს უნდა წარედგინოს დამატებით - შეთანხმების გაფორმებიდან (28.09.2023 წ.) 6 (ექვსი) თვის ვადაში - არაუგვიანეს 2024 წლის 28 მარტისა.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, შეთანხმება ითვალისწინებს მესაკუთრეებისა და მფლობელების დაკმაყოფილებას როგორც ხელშეკრულებითა და შეთანხმებით გათვალისწინებული 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართიდან ნაწილის გადაცემით, ისე, მყიდველის მიერ ალტერნატიული შესრულების (მათ შორის, სათანადო ფულადი ანაზღაურების) განხორციელების გზით. შესაბამისი ფართების (ან ალტერნატიული შესრულების) მიღების სანაცვლოდ, მესაკუთრეებმა მუნიციპალიტეტს უნდა გადასცენ საკუთრების უფლება ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში მდებარე №01.16.04.048.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობიდან მათ საკუთრებაში არსებულ ფართებზე (და მათზე წილობრივად დამარგებულ მიწის ნაკვეთზე), ხოლო მფლობელებმა უარი უნდა განაცხადონ მათ მიერ თვითნებურად დაკავებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ყოველგვარ მოთხოვნის უფლებაზე. შესაბამისი ფართების მიღების სანაცვლოდ, აღნიშნული პირები ასევე გამოათავისუფლებენ მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებულ ფართებს, კერძოდ, აღნიშნული პირები №01.16.04.048.003 საკადასტრო კოდით არსებულ უძრავ ქონებაში მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებულ ფართებს მფლობელობაში გადასცემენ მუნიციპალიტეტს, ხოლო პრივატიზებულ ქონებაზე ფაქტობრივად დაკავებულ ფართებს - მყიდველს. აღნიშნული პირობები, შეთანხმების თანახმად, გათვალისწინებული უნდა იყოს მყიდველსა და მესაკუთრეებს/მფლობელებს შორის გასაფორმებელ შესაბამის ხელშეკრულებებში. ამასთან, ზემოაღნიშნული 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართიდან, ის ნაწილი, რომლებიც არ გადაეცემა მესაკუთრეებს/მფლობელებს, ასევე ის ფართები, რომელთა მიმღები პირებიც (მესაკუთრეები/მფლობელები) უარს იტყვიან შესაბამისი პირობებით ქონების მიღებაზე (მყიდველთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე), გადაეცემა მუნიციპალიტეტს.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქონების მიმღებ პირთა ნაწილი განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის კორექსონდენციით წარმოდგენილი კორექსონდენციისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად. ამასთან, იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ გააფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას მყიდველთან ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან, ან/და არ შეასრულებენ შეთანხმებით გათვალისწინებული შესრულების (ქონების გადაცემა ან ალტერნატიული შესრულება) მიღების საპრივატიზებო პირობებს, განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიება უქმდება და შესაბამისი ქონების მიმღებად განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.

ყოველივე აღნიშნულისა და „2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №9-582-1-26243 ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „აღფა ფროფერტის“ (ს/ნ. 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.16.03.058.062) განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის განსაზღვრის თაობაზე“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 27 მარტის №24.523.608 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ხელშეკრულებისა და შეთანხმების პირობების შესაბამისად, პრივატიზებულ ქონებაზე განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის შემოაღნიშნული განკარგულების დანართების შესაბამისად განსაზღვრა.

მომხრე-6 თავი შეიკავა -ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირი N15- ში, მე-6 სართულზე არსებული 2449.77 კვ.მ ფართიდან (საკადასტრო კოდი: N01.12.09.021.005.01.502) 600.9 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციისთვის (ს/ნ 204889282) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ააიპ - საქართველოს ძიუდოს ეროვნულმა ფედერაციამ (ს/ნ: 204889282), 20.02.24წ. N136 წერილით მიმართა ქ. თბილისის მერიას და ითხოვა ქ. გურამიშვილის გამზ. N15-ში, მე-6 სართულზე არსებული 2449.77 კვ.მ. ფართიდან (საკადასტრო კოდი: N01.12.09.021.005.01.502) წერილს თანდართულ სართულებრივ გეგმაზე მონიშნული 600.9 კვ.მ. ფართის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემა, 30 წლის ვადით, ძიუდოს სპორტული ობიექტის მოწყობის მიზნით, ინვესტიციის განხორციელების პირობით. წერილის თანახმად, ფედერაცია, ერთი წლის ვადაში უზრუნველყოფს არანაკლებ 150000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელებას, რომელიც მიმართული იქნება უზუფრუქტით გადაცემული ფართის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად და ფართში გათვალისწინებული სპორტული ობიექტის - ძიუდოს დარბაზის გამართვისთვის.

მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნული 2449.77 კვ.მ. ფართი (საკადასტრო კოდი: N01.12.09.021.005.01.502) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით იყო გადაცემული შპს „თბილსერვის ჯგუფისთვის“ (ს/ნ: 206267494). სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი წერილის თანახმად, კომპანია არ არის წინააღმდეგი, დაინტერესებაში არსებული 600.9 კვ.მ. ფართი გადაეცეს აღნიშნულ ფედერაციას. კომპანიის პოზიციის გათვალისწინებით, „შპს „თბილსერვის ჯგუფისთვის“ (ს/ნ: 206267494) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.12.09.021.005.01.518, N01.12.09.021.005.01.519, N01.12.09.021.005.01.520, N01.12.09.021.005.01.521, N01.12.09.021.005.01.522, N01.12.09.021.005.01.502 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე“ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 18 იანვრის №61.01220181 ბრძანებაში ცვლილება შევიდა და შენობის მე-6 სართულზე (საკადასტრო კოდი: N01.12.09.021.005.01.502) უზუფრუქტის საგანი განისაზღვრა ძიუდოს ფედერაციის დაინტერესებაში არსებული 600.9 კვ.მ. ფართის გარეშე.

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი ფართის საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციისთვის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემას, 30 წლის ვადით, ძიუდოს სპორტული ობიექტის მოწყობის მიზნით, ინვესტიციის განხორციელების პირობით.

მომხრე-6 თავი შეიკავა -ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მოიწონეს და მხარი დაუჭირეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე



ირაკლი ხელაძე